საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკანონობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 17 ნოემბერი. 2017 წ. №235 (8372), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მზად ვართ ოპოზიციასთან შესახვედრად!

თბილისის მერი საკრებულოს ოპოზიციურ ჯგუფებთან შეხვედრის მზადყოფნას გამოთქვამს. ამასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„წინასაარჩევნო პერიოდში არაერთხელ გამოვთქვი მზაობა და დღესაც მინდა განვაცხადო, რომ ჩემს გუნდს, პირადად მე, დაგეგმილი გვაქვს ოპოზიციასთან შეხვედრა და მათთვის ჩვენი ხედვების, კონკრეტული პროექტების, გეგმების გაზიარება. საგულისხმოა, რომ დღეს საკრებულოს ოპოზიციამაც გამოთქვა შეხვედრის სურვილი. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფთან ვისაუბროთ საქმეებზე, რომელიც რეალურად მნიშვნელოვანია თბილისისა და თბილისელებისთვის და არა გამოგონილ პრობლემებზე. ჩვენი პოზიციაა, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობა შეიძლება შედგეს ყველა პოლიტიკურ ჯგუფთან, ვისაც თბილისისთვის საქმის კეთება სურს“, — ნათქვამია განცხადებაში.

იხ. 4-5 გვ.

მნიშვნელოვანია, ვინ გახდება ევროინტეგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი...

„შევხვდებით იმ ხალხს, ვინც ახლა ევროინტეგრაციის საკითხებზე იქნება პასუხისმგებელი და ვნახავთ, რა პირობები იქნება ჩვენი ერთობლივი მუშაობისთვის“, — ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა იანოშ ჰერმანმა საქართველოში სამთავრობო ცვლილებების შესახებ საუბრისას განაცხადა. ჰერმანის შეფასებით, ის მჭიდროდ თანამშრომლობდა ევროკავშირთან ურთიერთობებში მონაწილე ყველა პირთან და ამ სამინისტროს ყველა იმ თანამშრომელთან, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ევროინტეგრაციის პროცესში და ე.წ. საშინაო დავალებების შესრულებაში.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანი იქნება, თუ ვინ გახდება საგარეო საქმეთა სამინისტროში პასუხისმგებელი პირი ამ მიმართულებების აღსრულებაზე.

ავმაღლდეთ საკუთარ თავზე! 8

ხალხი, ერი თუ რიგითი მცხოვრებნი?!

ემზარ ზენაიშვილი: მოდი „ვიჩხუბოთ“, ოღონდ საქმე ვაკეთოთ! 9

გუშინდელი ფოსტიდან

სამარცხვინო ხარ!

გიგი უგულავას გასაგონად

ყოფილო მერო, როგორ წაართვი ხალხს ბიუჯეტიდან 50 მილიონი? შეგახსენებ შენს მოგზაურობებს ლას-ვეგასში, ვითომდა ნაგვის მანქანების შესასყიდად, ან მეუღლის მოსამშობიარებლად ავსტრიაში ძმაკაცებთან ერთად გასეირნებას!

შენი „გემოვნებით“ მოახდინე ეგრეთ წოდებული „სინათლის ქალაქის“ განათება. ქალაქის ცენტრში ააშენე შეუსაბამოდ მაღალსართულიანი სახლები, მაჯლაჯუნა რკინა-ბეტონში ჩასვი თბილისი. რას ერჩოდი ფინანსთა სამინისტროს ნამდვილად დიდებულ შენობას, მის წინ არსებულ ულამაზეს მდელოს მინდვრის ყვავილებით, ასე ორგანულად რომ ერწყმოდა შენობის არქიტექტურას და ალამაზებდა მთელ შემოგარენს? მის ადგილზე უსახური მრავალსართულიანი შენობა ააშენე!

რას ერჩოდი ქალაქში არსებულ მწვანე საფარს, პარკებს, სკვერებს?

შენ დავით აღმაშენებლის ძეგლი ვერ აიტანე, რადგან მისი ავტორი ბრწყინვალე მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი არ მოგწონდა. არ მომწონს დავით აღმაშენებლის ცხენის გავაო (შენ უფრო ცოცხებით დაზიანებული გავა მოგწონს)... სამაგიეროდ, ქალაქის ცენტრში ველოსიპედი დაგვიდგი „მაღალი ხელოვნების“ ნიმუშად. გყოფნის იმის უტიფრობა, რომ კიდევ ილაპარაკო და გაუთავებლად აგინო დიდ ქველმოქმედს ბატონ ბიძინა ივანიშვილს!

სამარცხვინო ხარ!!!

ლონდა მდივანი.

P. S. გასაოცარია, პირველი არხის ჟურნალისტები როგორ ისმენდნენ მშვიდად გიგი უგულავას „ბლატაობას“, არც ის არის ნაკლებ გასაოცარი, I არხის ყველა ტელეფონი რატომ არის სულ მუდამ „დაკავებული“?

ლ. მ.

წერილები რუსთავქალაქიდან

6 ლევან აბუთიძე — გზანაპოვნი კაცი

თამარ შავერზაშვილი

7 პირველი ქართველი საბავშვო კომპოზიტორი

გელა ქოქიაშვილი

თეა წულუკიანი: უჩა ნანუაშვილი არის პირველი უსამართლო ომბუდსმენი საქართველოსი 3

ეს წელი $100 მლნ-იანი სავაჭრო ბრუნვით დავასრულეთ

საქართველო-ბელარუსის ორმხრივი ურთიერთობები, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივები განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მიხაილ რუსიმ შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ბელარუსის რესპუბლიკას ბორჯომის ხეობაში ხანძრის ლიკვიდაციის პროცესში გაწეული სწრაფი და მნიშვნელოვანი დახმარებისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

ყურადღება დაეთმო ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის საქმიანობას და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული პოტენციალის გამოყენების აუცილებლობას.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში მზარდი დინამიკა არსებობს. მივესალმები ბელარუსის რეპუბლიკის კულტურის დღეების ჩატარებას საქართველოში. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადაგიხადოთ იმ უდიდესი დახმარებისთვის, რომელიც ბორჯომის ხეობაში ხანძრის ჩაქრობის პროცესში გაგვიწიეთ. თქვენმა ეკიპაჟმა მაღალი პროფესიონალიზმით შეასრულა ძალიან მნიშვნელოვანი მისია ბორჯომის ხეობაში და ჩვენ ძალიან მადლიერნი ვართ. მინდა, დავუდასტურო ჩემი პატივისცემა პრეზიდენტ ლუკაშენკოს ჩვენი ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის. ასევე მინდა, მოვიკითხო ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და გამოვთქვა იმედი, რომ უახლოეს მომავალში შედგება ჩვენი შეხვედრა, რომელზეც ძალიან მნიშვნელოვანს საკითხებს განვიხილავთ. მინდა, მთელი მთავრობის სახელით დაგარწმუნოთ, რომ ორმხრივი ურთიერთობები მოძმე ქვეყანასთან, ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მივესალმებით მზარდ დინამიკას. ეს წელი 100 მილიონი დოლარის ოდენობის სავაჭრო ბრუნვით დავასრულეთ. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ იმისკენ, რომ ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზარდოს და არსებული პოტენციალი მაქსიმალურად ავითვისოთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებს გულთბილი მიღებისა და შეხვედრების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა ბელარუსის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

შეხვედრის შემდეგ, მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის კულტურის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში-თანამშრომლობის შესახებ“.

ალოუსიო ნუნეს ფერეირა: საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გახდა ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი, სტაბილური და სანდო ქვეყანა

„ვიცით, რომ საქართველოს მთავრობამ საკმაოდ წარმატებით განახორციელა სხვადასხვა რეფორმა ეკონომიკური მიმართულებით. სწორედ ამ რეფორმების წყალობით საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გახდა ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი, სტაბილური და სანდრო ქვეყანა ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიც არის გამჭვირვალობა, მეტი ღიაობა, უსაფრთხოება და სხვა“ — ამის შესახებ ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალოუსიო ნუნეს ფერეირამ ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდგომ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, იგი ყურადღებით აკვირდება საქართველოში მიმდინარე და გატარებულ რეფორმებს, რაც ბრაზილიისთვის საკმაოდ საინტერესო და სამაგალითოა.

ფერეირას განცხადებით, მისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს ის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც საქართველომ გაატარა ელექტრონული მომსახურების მიღების მიმართულებით.

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. მისი თქმით, საქართველო კავკასიის რეგიონში ბრაზილიისთვის ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია და იგი აქტიურად მუშაობს ბრაზილიის შესაბამის სამინისტროსთან, რომ მოხდეს საქართველოში ბრაზილიის ბიზნეს დელეგაციის სტუმრობა, რათა მათ ადგილზე შეაფასონ საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობები. როგორც ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური თანამშრომლობა მაღალ ნიშნულზეა და ახლა საჭიროა, ეს სათანადოდ გამოვლინდეს კონკრეტულ სფეროებში ურთიერთობებში — იქნება ეს ხალხთაშორისი კონტაქტები, კულტურის სფეროში თანამშრომლობა და ა.შ.

მან ასევე მაღალი შეფასება მისცა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომელსაც მინისტრებმა დღეს მოაწერეს.

ალოუსიო ნუნეს ფერეირამ კიდევ ერთხელ დააადასტურა ბრაზილიის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და აღნიშნა, რომ ბრაზილია მხარს უწერს საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკას.

ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით 2017 წლის 15-16 ნოემბერს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა საქართველოს პრეზიდენტთან, დაგეგმილია შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან. ნუნეს ფერეირამ პატივი მიაგო საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირებს და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ციხეებში პენიტენციურ ჯანდაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული

— ამის შესახებ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის — „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ანგარიშშია აღნიშნული. ამ მხრივ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიღწევებს დადებითად აფასებენ, როგორც პროექტის ხელმძღვანელობა, ასევე, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

პროექტის — „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში II“ აქტივობათა შეფასების მე-3 ანგარიში სამეთვალყურეო საბჭოს შემაჯამებელ შეხვედრაზე განიხილეს, რომელშიც ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის, ასევე, პროექტში ჩართული უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ანგარიში პროექტის ფარგლებში 2016 წლის 1 აპრილიდან 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებულ აქტივობებს და მიღწეულ შედეგებს მოიცავს.

პენიტენციური სისტემის მიმართულებით, ანგარიშში მიღწევებს შორის აღნიშნულია, რომ პროექტის ფარგლებში, შემუშავდა ციხეებში ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის დანერგვის სამწლიანი სამოქმედო გეგმა; ჯანდაცვის სფეროს ხელმძღვანელი პირების 95%-ს უტარდება სწავლება ციხეებში ჯანდაცვის მენეჯმენტის შესახებ და ისინი აღჭურვილი არიან თანამედროვე ცოდნითა და უნარებით. პენიტენციური ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, სასჯელაღსრულების სამინისტრო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და პროექტების განხორციელებას მომავალშიც განაგრძობს.

რისთვის ჩადის ლავროვი ბაქოში და ერევანში?!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 19 ნოემბერს ბაქოს ეწვევა. 20 ნოემბერს კი — ერევანს. სომხური მედიის ინფორმაციით, აზერბაიჯანში და სომხეთში ლავროვს ერთდღიანი ვიზიტები შესაძლოა, ორ მიზანს ისახავდეს. გაზეთ „168 საათის“ ინფორმაციით, ბაქოსა და ერევანში ლავროვის მთავარი თემა ყარაბახია და მასთან დაკავშირებული ორი ვერსია.

პირველი ვერსიით, ლავროვი შეეცდება, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისთვის ეფექტური დღის წესრიგი შეიმუშაოს რომლის დროსაც ვენის და სანკტ-პეტერბურგის შეთანახმებების განხილვა იქნება. მეორე ვერსიის თანახმად კი, ლავროვი ბაქოსა და ერევანს იმ დოკუმენტის განხილვას შესთავაზებს, რომელსაც ეუთოს მინსკის ჯგუფის მონაწილე წევრი სახელმწიფოები იწონებენ.

„დიპლომატიურ ურთიერთობებზე ჩვენ ვერ ვისაუბრებთ“...

ზურაბ აბაშიძე გრიგორი კარასინთან შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საკითხის დაყენებას არ ელოდება.

აბაშიძე ამბობს, რომ პოლიტიკური საკითხები ჟენევის ფორმატში განიხილება, პრაღაში კი სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობენ: „ჩვენი ფორმატი, პრაღის ფორმატი შექმნილია ისეთი საკითხების განსახილველად, როგორიც სავაჭრო, ეკონომიკური ურთიერთობები, სატრანსპორტო კავშირები და გარკვეული ჰუმანიტარული საკითხებია და ამ საკითხების განხილვას გავაგრძელებთ.

აქ წამოსვლამდე სხვადასხვა უწყებებში მქონდა კონსულტაციები, რომელსაც ეს მიმართულებები ეხება. ვისაუბრებთ საბაჟო მონიტორინგის შესახებ 2011 წლის შეთანხმებაზე. ჩვენ მზად ვართ, გავაფორმოთ შესაბამისი კონტრაქტები, რათა ეს შეთანხმება ამოქმედდეს... — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

საქართველოსა და გერმანიას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებას მოეწერა ხელი

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ვახტანგ გომელაურმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ჰაიკე ფაიჩიმ „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

შეთანხმების ხელმოწერა მიზნად ისახავს მხარეებს შორის თანამშრომლობის პროცესში გაცვლილი და შექმნილი საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივად დაცვის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიის მიერ საერთო თუ მსოფლიო გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირების მოხდენას. ამასთან, შეიქმნება მყარი სამართლებრივი საფუძველი ორ ქვეყანას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის კუთხით როგორც უსაფრთხოებისა და სამართალდაცვით, ასევე, საგარეო ურთიერთობებისა და სხვა სფეროებში. შეთანხმების ხელმოწერა ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ლარის კურსის დაცემა, „უსინდისო“ პრემიების გაცემა შოკია? ნუ შექმნით ამ შოკს!..

ხელისუფლება ირწმუნება, რომ სულ მალე პრემიებს შეელევა. პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის თქმით, ისინი თანდათან გადავლენ შრომითი ანაზღაურების ფიქსირებულ სისტემაზე და პრემიების განაწილებას მაქსიმალურად შეზღუდავენ.

მისივე თქმით, სახელმწიფო სახსრების ხარჯვა ეფექტურად და რაციონალურად უნდა ხდებოდეს. ამ მიზნით პარლამენტში შესაბამისი პროექტია წარდგენილი შრომითი ანაზღაურების თაობაზე, რომლის მიღების შემდეგაც სრულად მოწესრიგდება ეს სისტემა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **პაატა აროშიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ახლა მთავარია აღსრულების პროცესი. მით უმეტეს, რომ ჩვენს ჩინოვნიკებზე ისეთი მასშტაბის პრემიები რიგდება, რაც საზოგადოების განწყობაზე ცუდად აისახება. ჩვენ ვისმენთ, რომ წელიწადში რამდენიმეჯერ რომელიღაც ჩინოვნიკი რამდენიმე ათას ლარს იღებს. ეს ნიშნავს, რომ, პრაქტიკულად, კორუფცია უკვე სახელმწიფოს დონეზეა აყვანილი, ანუ ქრთამს უკვე ოფიციალურად ბიუჯეტიდან იღებენ და ვერავინ შეედავება ჩინოვნიკს, რომ მას ტყუილად ურიგებენ პრემიებს. ეს მართლაც მახინჯი სისტემაა.

ექსპერტის თქმით, ამას ემატება ისიც, რომ ხშირად არასწორად შუქდება პრემიების საკითხი. შესაძლოა, ჩინოვნიკი წელიწადში 12 ან 14 ათასი ლარის ოდენობით პრემიას იღებს, მაგრამ რიგით მოქალაქეს ჰგონია, რომ პრემიის ოდენობა ყოველთვიურად 12 ათას ლარს შეადგენს. ამდენად, რისხვა მიდის პრემიის ამღებამდე.

„პირველ რიგში, პრემიის საკითხი ეხება თანაბარ პოზიციაზე მყოფ ადამიანებს, რომლებიც იკავებენ თანამდებობებს სახელმწიფო სამსახურებში, მინისტრები იქნება ეს, მინისტრის მოადგილეები თუ დეპარტამენტის თავმჯდომარეები, ანუ ვინც იღებს ამ პრემიებს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ისინი ყველანი უკლებლივ მუშაობენ თანაბრად და იხარჯებიან თანაბრად. თუმცა, რეალურად, მათ შორის განსხვავებაა.

ამდენად, ფიქსირებულ ხელფასებზე გადასვლა იმდენად აღარ გააღიზიანებს საზოგადოებას, მაგრამ გააჩნია, რამდენი ხელფასი ექნებათ ჩინოვნიკებს. თუ მათი ხელფასი რამდენიმე ათასი ლარი იქნება, მაშინ იგივე გამოდის. უბრალოდ, მას პრემია არ დაერქმევა და დაერქმევა სოლიდური ხელფასი. მაშინ რა მნიშვნელობა აქვს, პრემიას დავარქმევთ, დანამატს თუ თანამდებობრივ სარგოს? ეს ხომ უბრალოდ ტერმინების შეთამაშებაა? ზოგადად, ადამიანებს პრემიებს აძლევენ კარგი მუშაობისთვის, მაგრამ, როდესაც რიგითი მოქალაქეები ხედავენ, რომ ჩინოვნიკი თუ უბრალო მოხელე არაფერს აკეთებს და მაინც ღებულობს პრემიას, მათი გულისწყრომა უკვე სახელმწიფოს წინააღმდეგაა მიმართული“, — აცხადებს პაატა აროშიძე, რომლის აზრითაც, მთავარია, რამდენად დიდია დისპროპორცია საშუალო ხელფასსა და ჩინოვნიკის ხელფას-პრემია-დანამატს შორის.

მისივე განმარტებით, უკვე განსაზღვრულია, რომ საშუალო ხელფასი 600-700 ლარის ოდენობითაა. რასაკვირველია, ესეც საკამათოა, მაგრამ, როცა ჩინოვნიკის ხელფასი, პრაქტიკულად, ზემოაღნიშნულზე ხუთჯერ მეტია და პენსიონერის პენსიას 20-30-ჯერ აღემატება, ეს უკვე პრობლემებს ქმნის.

ექსპერტი სხვა პრობლემაზეც ამახვილებს ყურადღებას. თუკი მაღალ ხელფასებსა და პრემიებს მიჩვეულ ჩინოვნიკებს ყოველთვიური თუ ყოველწლიური შემოსავალი შეუმცირდებათ, ეს ხომ არ გამოიწვევს კორუფციის ისევ აყვავებას? ვთქვათ, ზედამხედველობის სამსახურის რომელიმე ხელმძღვანელს შეუმცირდა ყოველთვიური დანამატი და პრემია, იგი ხომ არ დაუბრუნდება ძველ სისტემას? ამიტომ პრემიების ოდენობა მხოლოდ ციფრობრივი მაჩვენებლით არ გამოიხატება, აქ ცხოვრების დონეც გასათვალისწინებელია.

„პრემირების სისტემის დაწესებისას თავს იმართლებენ, რომ ეს იმიტომ კეთდება, ჩინოვნიკებს ხელი არ გაექცეთ სხვა შემოსავლისკენ. ამიტომ საჭიროდ მიიჩნევენ სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირებას. ეს გასაგებია, მაგრამ, რეალურად, როდესაც ცხოვრების დონე დაბალია ქვეყანაში, შენს ათეულ თუ ასეულ ჩინოვნიკს ძალიან მაღალი ხელფასი არ უნდა ჰქონდეს. ამის მიზეზით ხდება, რომ ყველა ისწრაფვის პოლიტიკისკენ, სახელმწიფო სამსახურებისკენ. უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულებს შორის ძალიან მცირეს აქვს სურვილი, კერძო სტრუქტურაში წავიდეს და საკუთარი ბიზნესი აკეთოს. მათ იციან, რომ სახელმწიფო უწყებაში ბევრად უფრო მაღალი ანაზღაურებაა, ვიდრე კერძო უწყებაში.

უცხოეთში ეს სისტემა სხვაგვარადაა აგებული. სახელმწიფო სამსახურში ძირითადად მიდიან იდეური პიროვნებები, რომელთა სურვილია, საკუთარ ქვეყანას ემსახურონ. დასავლეთში პრემიების საკითხი იმის მიხედვითაა გადაწყვეტილი, ვის რა სარგებელი მოაქვს ქვეყნისთვის და არა ისე, ყველას ერთნაირ თარგზე მოეჭრას ხელფასი თუ პრემია“.

ყოფილი დისიდენტი, „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე **მამუკა გიორგაძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ პრემია იქნება, დანამატი თუ ჯილდო, ხელისუფლების მხრიდან ამ ფუფუნებაზე უარის თქმა მხოლოდ პიარია, რათა მოატყუონ ქართველი საზოგადოება და დაარწმუნონ, როგორ ზრუნავენ მათზე.

სინამდვილეში, ეს ადამიანები საკუთარი კეთილდღეობისთვის არიან ხელისუფლებაში და ცდილობენ, ისეთი მექანიზმის მოფიქრებას, ხალხის ხარჯზე როგორმე დააფინანსონ საკუთარი არსებობა. რეალურად, თუ რამის გაკეთება უნდათ, ამ პრობლემის გადაჭრა ძალზე მარტივია. მათ უნდა დაადგინონ, რომ არ შეიძლება, ჩინოვნიკმა მიიღოს გარკვეულ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ანაზღაურება.

„თუკი ფიქრობ, რომ საარსებო მინიმუმით და მინიმალური პენსიით უნდა იცხოვროს შენმა თანამემამულემ, მაშინ შენც იმყოფინე ასეთი შეფარდება, ანუ საარსებო მინიმუმსა და პენსიაზე ათჯერ მეტი ხელფასი. კი ბატონო, საარსებო მინიმუმთან შედარებით, თუნდაც ათჯერ და ოცჯერ მეტი ხელფასი მიიღე, მაგრამ არა უზომო რაოდენობის. ჯერ მსოფლიოში არ ყოფილა შემთხვევა, ადამიანს ეთქვას, რომ მე მეყოფა ესა თუ ის თანხა. ამის მრავალი მაგალითი გვაქვს საქართველოშიც, რომ სწორედ მდიდრები ყიდულობენ ერთ ლარად ქონებას და ლოიალობისთვის ხელისუფლება ვიღაცას ჩუქნის მიწებს. ჩვეულებრივი ადამიანისთვის არა მგონია, ვინმეს რამე ეჩუქებინოს.

რაც შეეხება მოსაზრებას, თითქოს შემცირებული პრემიების გამო ჩინოვნიკს კორუფციისკენ გაექცევა თვალი, ეს არ არის არგუმენტი. ჩინოვნიკს ისედაც გაექცევა თვალი და ხელფასი ვერ დააკავებს. ამიტომ მორალური კლიმატი უნდა შეიქმნას ქვეყანაში, რომ ჩინოვნიკს კორუფციისკენ თვალი არ გაექცეს. ისეთი ხალხი უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, რომელთაც ქვეყნის ბედი აინტერესებთ. ცხადია, ყველა ადამიანს კომფორტში სურს ცხოვრება, მაგრამ ეს კომფორტი შინაგანად, სინდისით უნდა იყოს გაკონტროლებული და არა მხოლოდ დემაგოგიით. ამიტომ ესეც ხალხის მორიგი მოტყუებაა. ეს არის ხელისუფლების ქმედება, რათა ააყვიროს ტაშის დამკვრელები, ვითომ როგორ ზრუნავენ საზოგადოებაზე და გადაფარონ ის, რაც ხდება ქვეყანაში. ქვეყანაში კი ლარის კურსი დაცემულია და ხელისუფლება გვიმტკიცებს, არანაირი ხიფათი არ არის, მხოლოდ შოკია, ანუ ყველაფერი გეჩვენებათო. მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდათ? თუ შოკია, ნუ შექმნიან ამ შოკს“, — აღნიშნა მამუკა გიორგაძემ.

მანანა ნოზაძე

„სამართლებრივად უსუსური ანგარიში... პოპულისტური განცხადებები“...



თბილისის საქალაქო სასამართლო ე.წ. „ციანიდის საქმეზე“ სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგებში, მიუხედავად სასამართლო ინსტიტუციის მიმართ გამოთქმული პატივისცემისა, რომ დოკუმენტში არ განხილულა საქმეზე მტკიცებულებათა გაზიარების მიზანშეწონილობა და განაჩენის დასაბუთებულობის შინაარსი, უჩა ნანუაშვილი გასცდა მისი კომპეტენციის ფარგლებს და მეტიც, სამართლებრივ საფუძველს მოკლებული შეფასებები გააკეთა. სახალხო დამცველი, პირველი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებულობის თაობაზე, მსჯელობაში შევიდა და მიიჩნია, რომ მტკიცებულებათა შეფასებისას, გონივრულად წარმოშობილი ეჭვი, მოსამართლის მიერ ბრალდებულის საწინააღმდეგოდაა გადაწყვეტილი, რაც არაკონსტიტუციურია.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს, ფაქტობრივი გარემოებების შეფასების, ასევე საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. არავის არა აქვს უფლება, მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიში ან მიუთითოს, როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.

მოსამართლისგან განსხვავებით, სახალხო დამცველი არ არის უფლებამოსილი საკუთარი შეხედულებები და შეფასებები თავს მოახვიოს საზოგადოებას და იმსჯელოს მასზე, როგორც ობიექტურ რეალობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სხდომებს არა პირადად, არამედ მისი წარმომადგენელი ესწრებოდა.

სახალხო დამცველისაგან სასამართლოს განაჩენსა და სხდომათა სრულად დახურვის საკითხზე მსჯელობა უხერხულია მაშინ, როდესაც იგი ისე ასრულებს უფლებამოსილების ვადას, რომ ვერ განსაზღვრა სახალხო დამცველის საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლები. გამოქვეყნებული 16-გვერდიანი, სამართლებრივად უსუსური ანგარიში, არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც უჩა ნანუაშვილი სასამართლოს კომპეტენციაში იჭრება და სუბიექტური მოსაზრებებით და პოპულისტური განცხადებებით საზოგადოების დეზინფორმირებას ცდილობს.“ — ნათქვამია საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

<u>თეა წულუკიანი:</u> ის არის პირველი უსამართლო ომბუდსმენი საქართველოში

ის არის პირველი უსამართლო ომბუდსმენი საქართველოსი — ეს განცხადება, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სახალხო დამცველის მისამართით გააკეთა. წულუკიანი ომბუდსმენის მიერ „ციანიდის საქმეზე“ გამოქვეყნებულ ანგარიშს და შენიშვნებს გამოეხმაურა.

„მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდება ამაზე კომენტარის გაკეთება იმიტომ, რომ რაკი უკვე ბოლო დღეებია ბატონი უჩას ჩვენთან ერთად საქმიანობის, ვიტყვი, რომ ის არის პირველი უსამართლო ომბუდსმენი საქართველოსი, ამიტომაც მის განცხადებებზე კომენტარს არ ვაპირებ,“ — განაცხადა თეა წულუკიანმა.

„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი და სააკაშვილი ერთად „იბრძვიან!“

სააკაშვილის ინფორმაციით, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს უკრაინის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს.

„ქართული ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტს თამაზ შავშიშვილს, რომელიც ჩემი საქმიანობის გასაშუქებლად უკრაინაში იყო მივლენილი, ბინადრობის უფლება გააუქმეს. შავშიშვილმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს უკრაინის ტერიტორია, ვინაიდან „ქვეყნის უსაფრთხოებას“ ემუქრება“, — წერს სოციალურ ქსელში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის საიმიგრაციო სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტის ფოტოსურათიც გაავრცელა.

„გენგეგმით“ გადაწყდება, კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება თუ ნარმანიასი!

2. „ორმერიანობა“ (21 ოქტომბერი – 13 ნოემბერი): სატყუარა კახი კალაძისთვის

დაკვირვებული თვალი შეამჩნევს თუ **როგორ დააწყვილეს ნელ-ნელა კახი კალაძე და „სითი პარკი“, კახი კალაძე და გენგეგმა.**

სინამდვილეში უნდა იყოს კახი კალაძე და პარკირების ადგილების ზრდა და პარკირების სისტემის მოწესრიგება, კახი კალაძე და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის, ქალაქთმშენებლობის მოწესრიგება, კახი კალაძე და თბილისის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა და სხვა. იმ ფორმატითა და მასშტაბით, რაც საარჩევნო პროგრამაშია და რასაც წარმოადგენს ქალაქ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ბუნებრივ-ბიოლოგიური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური სისტემა.

გასაგები რომ იყოს, მეთევზის ტერმინებით ვიტყვი, კახი კალაძე ამ „ანკესზე წამოეგო“.

მთელი პერიოდი მიუძღვნა **„სითი პარკს“,** მშენებლობების ბედზე დაპირებებს, ტუალეტების საკითხსაც კი, პიარ აქციებს...

კარგია მიწისქვეშა გადასასვლელების გარეცხვა, მაგრამ ამისთვის ხომ სპეციალური სამსახური არსებობს? საზოგადოებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ეს კარგია, მაგრამ მმართველობის თვალსაზრისით, არაეფექტიანია. სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც იმუშავებს. ერთეული საჩვენებელი პოლიტიკური „პიარი“ აქ არ ვარგა.

ამას ახლადარჩეული, ჯერ მოვალეობას არ შემდგარი მერი რომ აკეთებს, სად არის ჯერ კიდევ ფუნქციონირებადი მერი? საკრებულო?

კახი კალაძე მინისტრობიდან მერად პოლიტიკური წონის გასაძლიერებლად რომ წავიდა ეჭვი არ არის. თუმცა პოლიტიკური ფიგურა მინისტრი სხვა დონეა მმართველობის, სულ სხვაა ადგილობრივი თვითმმართველობა. თუ სამინისტროში ის იყო ერთპიროვნული მმართველი და ენერგეტიკაში დადგმული სიმძლავრეები და ელექტოენერგიის გენერაცია იყო ყურადღების ობიექტი, თვითმმართველობაში უკვე მისი განაწილება და მისი მოხმარებაა საყურადღებო. ამასთან თითოეული მომხმარებელია ზრუნვის საგანი. ავადმყოფი, სტუდენტი, საბავშვო ბაღი, რომელმა ბავშვმა გაყინული ხორცით დამზადებული კერძი მიიღო და რომელმა არა, კატასტროფები, ზეიმები, ნარკომანია, ქალაქში მიწის ზემოთ, მიწის ქვემოთ, ჰაერში, წყალში რაც ხდება – ყველაფერი მერის საფიქრალ-სამოქმედო კომპეტენციაშია.

კახი კალაძის მინისტრობას, ჩემი აზრით, ჰქონდა ჩრდილოვანი მხარეები: როგორც ჩვენ ვიცით, ესაა **„გაზპრომთან“** დადებული საქართველოსთვის წამგებიანი ხელშეკრულება, ხუდონჰესისა და ნენსკრაჰესის მეგაპროექტების შეყოვნება, ენერგეტიკის პოლიტიკისა და ენერგეტიკის რეგულაციის სისტემის აღრევა, ენერგეტიკაში სახელმწიფო მონოპოლიზმის კერძო მონოპოლიზმით ჩანაცვლებისადმი შეგუება. ყველა ეს პროცესი ეხება სახელმწიფოს, აზიანებს მას და შესაბამისად, ირიბად ეხება მოსახლეობას.

თუმცა, მოსახლეობის მიერ მინისტრების საქმეების საკუთარ ცხოვრებაზე გავლენის აღქმა ნაკლებია, ვიდრე ამას ადგილი აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა საქმიანობისას. მატერიალურად დასახელებულზე ათასჯერ ნაკლებ ზარალს აქ შეიძლება ათასჯერ მეტი რეაქცია მოჰყვეს. შეძლებს ამ სიმძიმეებაკიდებული კახი კალაძე წინა პოლიტიკურ სიმაღლეებზე დაბრუნებას და კიდევ უფრო წინ წასვლას?

კახი კალაძეს აღმოაჩნდა მმართველობის კარგი უნარი, მან დახვეწა მსჯელობა, როგორც იტყვიან „გაიზარდა პოლიტიკურად“, მაგრამ მისი ფუნდამენტური განათლების ნაკლოვანებები, სუსტი კავშირები აკადემიურ და სამეცნიერო წრეებთან, დიდფულიანობა (მეტის შოვნის სურვილი) ხომ არ იჩენს თავს მრავალფუნქციური საქმიანობის დროს?

ამის პირველი გამოცდა მას ელის უკვე უახლოეს ხანში იმ საკითხებში, რომლის დღის წესრიგი მას შეუდგინეს და მასში „გახვიეს“.

პირველი შეცდომები უკვე დაშვებულია.

მერობის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე **კალაძეს** უნდა ჰქონოდა სტანდარტული პასუხი ყველა საკითხზე: მერიაში მივალთ, ვაკომპლექტებთ გუნდს და შევუდგებით დანაპირების შესრულებას. **შეცდომაა, როდესაც ქალაქის მერიას ჰყავს ასობით პროფესიონალი თანამშრომელი, საკრებულო (სულ მერიის სისტემაში 25 ათას კაცამდეა დასაქმებული!) და ამ დროს ჯერ მოვალეობის არ შემსრულებელი მერი იწყებს ცალკეული საკითხების გადაწყვეტას.**

უფრო სწორად, მოხდა მისი პროვოცირება გარკვეული საკითხებით.

ერთ-ერთი საკითხია **„სითი პარკი“.**

9 ნოემბერს კახი კალაძემ განაცხადა, რომ **„სითი პარკის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას წარმართავს, რომ „სამართებლივი გზით წავა.“**

მისი სიტყვებია: **„ჩვენი მიდგომები იქნება სამართლებრივი. თუნდაც, სტატისტიკა რომ ვნახოთ, ჯარიმები, რომელიც ამ კომპანიის მხრიდანაა გამოწერილი და რომელიც გასაჩივრდა, 99% გამამართლებელი განაჩენი მოქალაქეების სასარგებლოდ არის გამოტანილი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა – ეს კომპანია არაკანონიერად მოქმედებს? ამიტომ ჩვენ მივუდგებით სამართლებრივი გზით. სამართლებრივი გზით წასვლაზე როდესაც ვსაუბრობ, მე ზუსტად იმას ვგულისხმობ, რომ იურისტები ჩაერთვებიან და ამ მიმართულებით ვიმუშავებთ“.**

უკვე მეორე დღეს, 10 ნოემბერს, მას მოუწია თქმა: **„სიახლე არაფერი მითქვამს. მე ამას ვამბობდი წინასაარჩევნოდ და ვიმეორებ ახლაც. იქნება სამართლებრივი გზით ბრძოლა. არ მაინტერესებს რას ფიქრობენ ისინი, გულისხმობდა „სითი პარკს“.**

ეს იყო მეორე შეცდომა: როგორ შეიძლება ედავებოდე ვინმეს და მისი აზრი არ გაინტერესებდეს?

ეს იყო გამოხმაურება იმავე დღეს **„სითი პარკის“** მედიაკომუნიკაციების მენეჯერის **ლევან ტაბიძის განცხადებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალარჩეული მერისთვის მიწოდებული სტატისტიკა სინამდვილეს არ შესაბამება,** გამოწერილი ჯარიმების მხოლოდ 0.2% ხდება სადავო და ამ დავის შემდეგაც ნახევარზე მეტს კომპანია იგებს და მეორე – **რომ „კომპანია მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და ასევე იმ კონტრაქტით, რომელიც გაფორმებულია თბილისის მერიასა და კომპანიას შორის“.**

აქ „სითი პარკის“ წარმომადგენელმა ამხილა ახალი მერი, რბილად რომ ვთქვათ არაინფორმირებაში და მიუთითა მერს უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემისკენ.

„სითი პარკის“ წარმომადგენელმა ეს კამათი დაამთავრა წინადადებით:

„იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში თბილისის მერი შეხვდება კომპანიის წარმომადგენლებს და „სითი პარკის“ **ხელმძღვანელებს ექნება შესაძლებლობა, რომ თბილისის არჩეულ მერს მიაწოდონ ამომწურავი, სრული და ობიექტური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კომპანიის საქმიანობა და გასცენ ყველა შეკითხვას პასუხი, რომელიც თბილისის მერს დააინტერესებს“.**

ახალ მერს აქვს ეს კითხვები?.

ჩვენს მიერ არჩეული მერი დარჩა მარტო შპს-ის პირისპირ კამათში. ათასობით შპს-ს როგორ უპასუხებს? ამიტომ არსებობს სამსახურები და მათზე უნდა გადანაწილდეს საქმეები. **მერმა თუ გადასასვლელები რეცხა, ქალაქის განვითარების სტრატეგიაზე ვინ იმუშავებს? მერმა ყველა შპს-ს საქმე თუ არჩია, ქალაქის საბიუჯეტო პოლიტიკას ვინ განსაზღვრავს?**

მართვა მეცნიერებაა მისი კანონებით. მართვის შედეგიანობა გაზომვადია.

პრობლემების არც წამოწევა, არც გადაწყვეტა პირველი პირით არ უნდა დაიწყოს. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ქცევა აწყობს ბიუროკრატიას, როგორც სისტემას. ყველაფერი ბრალდება ერთ ადამიანს – პირველ პირს. ასეთი მმართველობის დროს პირველი პირი უშვებს შეცდომებს, ზოგჯერ კერძო ინტერესებიდან გამომდინარე სჩადის უკანონობას, რაც ბოლომდე არავის არ შერჩენია ან აქ, ან იქ. დაუსჯელი რჩება ამ პირის ქვეშ არსებული „მმართველი ელიტა“, რომელიც სჩადის ათასგზის მეტ დანაშაულს, პირველი პირის დანაშაულს ამოფარებულნი!

კახი კალაძე საჯაროდ აცხადებს, რომ რაც გაკეთდება, იქნება არა „ჩემი“, არამედ „ჩვენი“. ეს კარგია, მაგრამ მის შეცდომებზე ბევრს მოუნდება მიერთება?!

თუ გუნდურ თამაშს თამაშობს **კახა კალაძე,** მაშინ რატომ დაიწყო „მე“-ზე დაყრდნობით საუბარი და მოქმედება, ვიდრე კანონიერად ჯერ კიდევ სხვა მერი ფუნქციონირებდა?

თუ გუნდური თამაშია, მაშინ ხომ უნდა ეკითხა **კალაძეს „სითი პარკზე“** ნარმანიასთვის თავისი აზრი?

ან, თუ ერთი გუნდია, საჯაროდ ნარმანიას უნდა გადაეწურა წყალი კალაძის პოზიციისთვის, თუ ეს უნდა ეთქვა კულუალურად?

2017 წლის 10 ნოემბრისათვის დავით ნარმანიას აზრი კახი კალაძის „სითი პარკისადმი“ გამოთქმულ პოზიციაზე შემდეგია: **„არ მგონია, რაღაც სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ყოველი შემთხვევისთვის კარგია, რომ კიდევ უფრო მეტი რამის ცდა მოხდება. ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, რომ მისი მტაცებლური პოლიტიკა რამენაირად შეიცვალოს“.**

ნარმანიას ეს აზრი იცოდა მანამდე კალაძემ? ნარმანიას ნათქვამი ხომ უბრალო ნათქვამი არ არის. ის ხომ იმ კაცის ნათქვამია, რომლის „საძირკველზე“ უნდა გააგრძელოს საქმეები კალაძემ, მათ შორის „სითი პარკთან“? ნარმანიამ უნდა უპასუხოს, რატომ? ნარმანიამ ხომ ამ საკითხში ალბათ ყველაზე მეტი იცის საქართველოში. მაშინ, როდესაც კალაძე არ ეკითხება გუნდის წევრს, ძალიან ძნელია იმის დაჯერება, რომ მოსახლეობის მართვაში მონაწილეობისთვის ასობით კეთილგანწყობილი, ან პირიქით მოსაზრების მოსმენისთვის ის მზადაა.

დავით ნარმანიას სამწლიანმა გამოცდილებამ და ახალმა – უთანამდებო მდგომარეობამ ათქმევინა სიმართლე: **„ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, რომ მისი მტაცებლური პოლიტიკა რამენაირად შეიცვალოს“. ეს ფასეული და გასათვალისწინებელი აზრია, მაგრამ ეს რომ ეთქვა ნარმანიას მერობის დროს, მაშინ იქნებოდა ის საზოგადო კაცი.**

ეს უნდა გაითვალისწინოს კალაძემ. ის, როგორც ქალაქის მერი, კერძო კაციდან საზოგადო კაცად უნდა იქცეს!

2017 წლის 17 იანვარს სამართლის დოქტორის ავთანდილ კახნიაშვილის „სითი პარკის“ წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე კახნიაშვილის მხარეს – „ხალხს და თბილისს“ წარმოვადგენდით ორი კაცი, ხოლო „სითი პარკის“ მხარე წარმოდგენილი იყო თავისი იურისტებითა და დავით ნარმანიას დაქვემდებარებული მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელით, რომლებიც ერთად იცავდნენ „სითი პარკის“ საქმიანობის „კანონიერებას“ და ბედნიერ მომავალს.

ეს „ქართული ოცნების“, მერიის, **დავით ნარმანიას** ისტორიის სასიქადულო ფურცლებია, რომლის ასე უბრალოდ გადაშლა ვერ მოხდება.

3. „სითი პარკისთან“ მიმართებაში კალაძის ნარმანიზაციის თავიდან აშორებისა და ტრიუმფის შანსი

„სითი პარკი“ – ეს არის თბილისელების ხარჯზე გამდიდრების უგულავას დროინდელი ურისკო ბიზნეს-პროექტი (ქალაქის ცენტრალურ ადგილებში დღისით მანქანების რაოდენობა 15-ჯერ აღემატება სადგომების რაოდენობას, ანუ თეორიულად პარკირების დარღვევა გარანტირებულია ყოველი 15 მანქანიდან 14 შემთხვევაში!).

დღეს „სითი პარკი“ გახდა საქართვე-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №234

ლოს ხელისუფლებისა და თბილისელების საზომ-საწონ მაჩვენებელი. ხელისუფლების შემთხვევაში აჩვენებს ხელისუფლება ქმედითი და წესიერია თუ არა. ხალხთან მიმართებაში იმის მაჩვენებელია, თუ რა დონეზეა დღეს ეროვნული ენერგია. **თუ თბილისელები თბილისს ვერ ათავისუფლებენ „სითი პარკისგან“ მიტაცებულ ქუჩებსა და ტროტუარებს, მაშინ ქვეყნის დაპყრობილ ტერიტორიების გათავისუფლების ენერგია როდის დაგროვდება?!**

თბილისელები კანონმორჩილი ხალხია და თვლიან, რომ **„სითი პარკის“** საკითხი ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, თუმცა ყველა მაჩვენებლით მოთმინების ეს ფიალა სავსეა.

„სითი პარკი“ ნაციონალური ხელისუფლების დამახასიათებელი მოვლენაა, რომლის გამოც ხალხმა პოლიტიკურად დასაჯა ის ხელისუფლება. ახალი პოლიტიკური ძალა როდესაც მოდის, ბუნებრივია, მას ხვდება მემკვიდრეობით წინა ხელისუფლებისგან ყველაფერი – კარგიც და ცუდიც. სწორი საქციელია, როდესაც ცუდს გამოასწორებ და კარგს გაამრავლებ.

ამ აზრს იზიარებდა თბილისის მერობის კანდიდატი **დავით ნარმანია,** როდესაც 2014 წელს ამბობდა:

– „სითი პარკს“ სერიოზულ პასუხს მოვთხოვთ და ხელშეკრულებას აუცილებლად გადავხედავთ“;

– „სითი პარკთან“ კაბალური ხელშეკრულების გაფორმება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მოხდა“;

– “ჩვენ ამ კომპანიას პასუხს ძალიან სერიოზულად მოვთხოვთ. ასევე სერიოზულ პასუხს მოვთხოვთ იმ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებლები. ამ შემთხვევაში ჩვენ ხელშეკრულებას აუცილებლად გადავხედავთ და, რა თქმა უნდა, მათ მოეთხოვებათ ის, რომ დამატებითი პარკირების ადგილები ააშენონ თავიანთი ფულით, როგორც მიწისქვეშა, ასევე მრავალსართულიანი მიწისზედა ავტოსადგომები“.

დავით ნარმანია თბილისის მერად 2014 წლის 15 ივნისს აირჩიეს.

მერის მოვალეობის აღსრულების პირველ თვეებში **დავით ნარმანიას** განცხადებები ტიპური იყო. მაგალითად, **2014 წლის 22 დეკემბერს** ის ამბობდა:

– „სითი პარკი“ დიდი ხანი ვეღარ გაჩერდება თბილისში“ „სითი პარკი“ ფულს აკეთებს და მეტს არაფერს“;

– „ჩვენ ახლა მალე ვამთავრებთ „სითი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივ და ფინანსურ ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს, რომელსაც ჩვენი დაკვეთით ახორციელებს უცხოური აუდიტორული კომანია „ერნსტ ენდ იანგი“. მის დასკვნაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ჩვენი შემდგომი ნაბიჯები“.

2016 წლის 16 ნოემბერს კი დავით ნარმანია უკვე ლოიალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს: „ჯერჯერობით, **ყოველ შემთხვევაში თავს ვიკავებთ „სითი პარკთან“ ხელშეკრულების გაწყვეტისგან“.**

კახი კალაძემ, როგორც მერობის კანდიდატმა **2017 წლის 29 აგვისტოს „სითი პარკის“** ხელშეკრულებასთან დაკავშირებით განაცხადა:

„ეს არის კაბალური ხელშეკრულება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს არის გაფორმებული. როცა მე მერი გავხდები, აუცილებლად ვიმუშავებთ იმაზე, რომ გამოინახოს სამართლებრივი შესაძლებლობები, რომ ეს ხელშეკრულება იყოს გაუქმებული. პირდაპირ ამ კომპანიის ინტერესშია, რომ ქალაქში არ იყოს გასაჩერებელი ადგილები, რადგან, რაც ნაკლებია გასაჩერებელი ადგილი, ეს კომპანია უფრო მეტ ჯარიმას წერს, აღიზიანებს მოსახლეობას და თბილისის მოსახლეობას უწევს ჯიბეების დაცარიელება. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომლის ცვლილებაზეც ვიმუშავებთ“.

ამ შემთხვევაში კალაძე – 2017 ერთი ერთში ნარმანია – 2014-ია!!!

მერად არჩევის შემდეგ და მერობის ფუნქციის შესრულებამდე კახი კალაძემ გააგრძელა აღნიშნული რიტორიკა და ზემოთ მოტანილი ისტორიის გამო „სითი პარკის“ საკითხი აქცია მისი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ მთავარ დღის წესრიგის საკითხად.

ბუნებრივია, ისმება კითხვა: **იგივე აგვისტოში რა უშლიდა კახი კალაძეს და „ქართულ ოცნებას“ განეხორციელებინათ აღნიშნული ქმედებები „სითი პარკის“ მიმართა** მათი პარტიული მერი და მათი პარტიული უმრავლესობა საკრებულოში ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის ხომ საკმარისი იყო?

დავით ნარმანიამ, მერობის დასაწყისში როდესაც გამოაცხადა „სითი პარკის“ – ამ სიმახინჯის დამარცხების შესახებ (მანაც იგივე შეცდომა დაუშვა, რაც დღეს კალაძემ, როდესაც საკითხს ერთპიროვნული დაპირისპირების ფორმა მისცა) შეიქმნა კრიტერიუმი: თუ ნარმანია „სითი პარკის“ ხელშეკრულებას ვერ აუქმებს ის ან უუნაროა, ან კორუმპირებული, ან ორივე ერთად.

ეს წარმოდგენა **დავით ნარმანიაზე** ამ საკითხში ძალაშია დღესაც. საწინააღმდეგოს დამტკიცება მას არ უცდია.

ეს კრიტერიუმი უკვე მოქმედებს კახი კალაძესთან მიმართებაში.

ახლა მთავარია, რაც დახვდა (მიუხედავად იმისა ვისგან) იმასთან მიმართებაში როგორ მოიქცევა კალაძე?

თუ კალაძეც ნარმანიასავით შეეგუება „სითი პარკს“, მაშინ ყველა ეს ხმაური ყოფილა დაკავშირებული „სითი პარკთან“ ციკლურ გარიგებასთან - ახალი მერი ახალი პირობები, ამასთან კალაძეც ყოფილა ან უუნარო, ან კორუმპირებული, ან ორივე ერთად.

„სითი პარკმა“ მიიღო მერად ნარმანია და გააცილა ის.

„სითი პარკი“ ღებულობს მერად კალაძეს და გააცილებს მას?!

კახი კალაძეს ნამდვილად სურს რომ, ის არ გააცილოს „სითი პარკმა“?!

ასეთ შემთხვევაში, **საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული სასამართლო პროცესი.** დღეს სამეურნეო დავები სასამართლოს გადატვირთულობის გამო წლობით მიმდინარეობს. შესაძლებელია სასამართლო პროცესი ისე გაიჭიმოს/გაჭიმონ, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილების დროისთვის არც კალაძე იყოს მერი და „სითი პარკს“ თავისი საქმე მომთავრებული ჰქონდეს!

შპს „სითი პარკი“ შეიქმნა 2007 წლის 9 ნოემბერს თბილისში ავტომობილების პარკირების ორგანიზებისთვის თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული შპს „ამაგონის“ და შპს „შოჰარ პარკინგ სერვისის“ კონსორციუმის მიერ, რომელმაც 2007 წლის 7 დეკემბერს გააფორმა ხელშეკრულება თბილისის მთავრობასთან და 15 წლის ვადით პარკირების სფეროს მართვის ექსკლუზიური უფლება მოიპოვა.

ასე რომ, ამ ჯახირში 10 წელი უკვე გავიდა და დარჩა 5 წელი!

თუ კალაძე ვერ გადაწყვეტს „სითი პარკის“ საკითხს, რომელიც ნარმანიამ ჩახმახზე შეყენებული თოფივით დაუტოვა, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე ფაქტმა გადაავსოს თბილისელების მოთმინება და მივიღოთ „სითი პარკის“ „ბახტრიონი“.

„სითი პარკთან“ კალაძის მოქმედებების ნარმანიზაციის სცენარით განვითარებისას **კახი კალაძის ავტორიტეტი ძალიან დაზარალდება** და პოლიტიკური აღმასვლისთვის ეს მისთვის ძნელად გადასალახავი ბარიერი იქნება!

ასე რომ არ მოხდეს, საკითხი უნდა გადაწყდეს მყისიერად. კახი კალაძის მერის კაბინეტში შესვლიდან პირველივე დღეებში. შემდეგ რამდენიმე დღეში ქალაქმა უნდა მიიღოს პარკირების საკითხის გადაწყვეტის ახალი, ალტერნატიული კონცეფცია და მოქმედების გაწერილი გეგმა, რომლის ფინანსური უზრუნველყოფა ასახული იქნება უახლოეს 2018 წლის ბიუჯეტში.

ამით, კახი კალაძე არა მარტო აღადგენს „ორმერიანობის“ პერიოდში შერყეულ ნდობას, არამედ აიყვანს მას სრულიად ახალ ხარისხში, რომელსაც თან ეხლება ასი ათასობით ადამიანის სიხარული და მადლიერება.

ბედნიერია ხელისუფალი, ვისაც ასეთი შანსი ეძლევა!

მიხეილ ჯიბუტი

(გაგრძელება იქნება)

საკრებულოდან ბიუჯეტის პროექტს გამოვითხოვთ, იმიტომ რომ ის ნარმანიას მიერ არის წარდგენილი...

საკრებულოდან თბილისის ბიუჯეტის პროექტს, რა თქმა უნდა, გამოვითხოვთ, იმიტომ რომ ის დავით ნარმანიას მიერ არის წარდგენილი და მასში ჩვენი პრიორიტეტები გათვალისწინებული არ არის – აცხადებს კახა კალაძე. კალაძე ამბობს, რომ თბილისის ბიუჯეტის პროექტზე ახალ გუნდთან ერთად იმუშავებს და მათ მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებით დაუბრუნებს საკრებულოს.

„ბიუჯეტს გამოვითხოვთ და შემდეგ დავუბრუნებთ საკრებულოს ჩვენ მიერ განსაზღვრული პროექტებით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომავალი წლისთვის. ბევრი პროექტია: გუდიაშვილის, ორბელიანის, ძველი თბილისის ისტორიული ნაწილის პროექტები. ეს არის ინფრასტრუქტურული პროექტები, ახალი გზებისა და ესტაკადების მშენებლობა“ და სხვ. – განაცხადა კახა კალაძემ.

„სისხლში აქვთ ხელი ამოსვრილი... აუპატიურებდნენ ცოცხებით...“

„ნაციონალური მოძრაობის“ შენიშვნებზე და მოსაზრებებზე მერიის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურასთან დაკავშირებით კახა კალაძემ წინა მთავრობას წარსული შეახსენა.

– საინტერესოა, ჩვენ ვისმენთ ბრალდებებს და შენიშვნებს იმ ადამიანებისგან, რომლებსაც სისხლში აქვთ ხელი ამოსვრილი, წლების განმავლობაში ეს ადამიანები აუპატიურებდნენ ცოცხებით, „ვარდებით“ დაიწყეს და ცოცხებით დაამთავრეს. მე არ მიყვარს გასულ წლებზე საუბარი, ხალხი ელოდება მომავალში განვითარებას იმისას, რომ მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება, თუმცა მიწევს შეხსენება, იმ ცხრაწლიან პერიოდზე, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ბობოქრობდა ჩვენს ქვეყანაში. უხერხულია, სირცხვილია, ეს ადამიანები ჰომოფობიურ განცხადებებზე იძლეოდნენ შენიშვნებს, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის გამგეობებში რეორგანიზაცია დაიწყება

თბილისის მერი აცხადებს, რომ თბილისის გამგეობებში რეორგანიზაცია დაიწყება: **„როდესაც ვსაუბრობთ ზოგადად ოპტიმიზაციაზე და რეორგანიზაციაზე, რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მხოლოდ მერია. გამგეობებშიც იქნება რეორგანიზაციები და იქნება ოპტიმიზაცია. რა და როგორ გაკეთდება, ამას მომავალში საზოგადოება გაიგებს“...**

რატომ უნდა იყოს საქართველო შენს ფიქრებში?

„საქართველო სწრაფ გზას დაადგა და მალე ახალი ბერლინი ან პრაღა გახდება. **უმჯობესია, დროულად ეწვიოთ ამქვეყანას, იმიტომ რომ ცოტა ხანში საქართველოში გამგზავრების იდეა ყველას მოუვა თავში“,** – წერს სტატიის ავტორი კარენ ლოფტუსი. ჟურნალისტი სტატიაში საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობს აღწერს და განსაკუთრებულ ყურადღებას ქვეყნის მრავალფეროვან კულტურას უთმობს.



„აღმოსავლეთ ევროპის მეზობლების მსგავსად საქართველო რადარებიდან გამქრალი იყო, 1991 წელს რუსეთისგან დამოუკიდებელი გახდა და სახელწოდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან მხოლოდ საქართველო დარჩა. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო, 1997 წელს საქართველოს სულ რაღაც 1500 ვიზიტორი ჰყავდა, თუმცა ამ ქვეყანამ მოახერხა და ტურისტების ნაკადი საგრძნობლად გაზარდა. 2016 წელს საქართველომ 6 მემილიონე საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი აღნიშნა.“

Vogue-ის ჟურნალისტის თქმით, საქართველოს ტურისტული მიმართულებით საერთაშორისო მედია სულ უფრო ინტერესდება:

„New York Times-მა 2015 წელს საქართველო მსოფლიოს 52 ტურისტულ მიმართულებაში შეიყვანა, რომელსაც აუცილებლად უნდა ეწვიო. კახურ ღვინოზე წერს პოპულარული სამოგზაურო ჟურნალი „Condi Nast Traveler.“

ტელეკომპანია CNN-ის ჟურნალისტი კი ენტონუ ბორდეინი მაყურებელს ურჩევს სამოგზაურო სიაში აუცილებლად დაამატონ საქართველო. კარენ ლოფტუსი სტატიაში თბილისის ისტორიულ უბნებს, არქიტექტორულ ძეგლებს, ციხე-სიმაგრეებს, კაფე-ბარებს, სასტუმროებს, პარკებს და ღამის ცხოვრებას აღწერს.

◎ წინ დიდი მოლოდინია

გზანავოვნი კაცი

... ყველაფერი დედის – რუსთავის მე-8 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ქეთევან აბუთიძის კეთილი, გულწრფელი სურვილიდან დაიწყო:

– პერსპექტიული ფეხბურთელი ხარ, მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, შენი ნიჭიერებით კლასიკურ მუსიკას თუ მიხედავ და ოდესმე სცენის მომღერლად გიხილავ...

...და ახალგაზრდა ლევან აბუთიძის ცხოვრებაში, ჯერ კიდევ მოსწავლეობისას, ახალი, შემოქმედებითი ეტაპი დაიწყო. გარეგნობით ქართული ვაჟკაცური სილამაზის პატრონმა, გასაოცარი ხმითა და სიმღერის ნიჭით დაჯილდოებულმა, ახლებურად აღმოაჩინა ცნობილი მომღერალი ჰამლეტ გონაშვილი და იმ დღიდან დღემდე, უკვე საკმაოდ ცნობილ საოპერო მომღერალს მიაჩნია, რომ ჰამლეტი ქართველი ხალხისათვის ის განუმეორებელი ფენომენია, რომელიც ყველაზე სწორად და ლამაზად მღეროდა ხალხურ სიმღერებს და გასაოცარი ხმა ყელიდან კი არა, სულის შრეებიდან ამოსდიოდა და ღვთით ნაბოძები ნიჭიერებით მსმენელსაც თავისი შემოქმედების ზეთანაზიარს ხდიდა.

– ის ჩემთვის დღემდე, ცალკე აღებული ულამაზესი კუნძულია, სამყაროა, სიმაღლეა, რომელზეც დაუსრულებლად შემიძლია ვიფიქრო და დღესაც გამუდმებით ვუსმინო იმის დასაჯერებლად, რომ ქართველი კაცის გენეტიკურ მუსიკალურ შესაძლებლობებს მართლაც არა აქვს მასშტაბები და ამ მასშტაბებს მიღმაა გენიოსი ჰამლეტ გონაშვილი.

...ოჯახში ყველა მღეროდა, ბაბუიდან მოყოლებული შვილიშვილებამდე, მაგრამ ლევანი – გამუდმებით, მაშინაც კი, ფეხბურთს რომ თამაშობდა. იგი ჯერ ცნობილ რუსთაველ მომღერალთან ჯუმბერ ყოლბაიასთან მეცადინეობდა, შემდეგ ქალაქის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში, ოპერისა და ბალეტის სოლისტთან გივი ფეიქრიშვილთან მოხვდა და გზაც საოპერო თეატრის სცენისკენ აქედან დაიწყო. კონსერვატორიაში სწავლისას (მეორე კურსზე იყო), ზაქარია ფალიაშვილის „დაისში“ მალხაზის პარტია რომ შეასრულა და ცნობილი მაესტროს თეიმურაზ გუგუშვილის განსაკუთრებული შექება დაიმსახურა.

კონსერვატორიაში სწავლისას ლევანს უსმენდნენ და ასწავლიდნენ ლამარა გოგლიჩიძე, ელდარ გეწაძე, თემურ ელიავა, ცისანა ტატიშვილი, ლამარა კარიაული, გოჩა ბეჟუაშვილი, თენგიზ მუშკუდიანი, პაატა სვანაძე, თეიმურაზ გუგუშვილი, აწ გარდაცვლილნი ნოდარ ანდღულაძე და ზურაბ სოტკილავა.

იმ წლებიდან – დღემდე ახალგაზრდა საოპერო მომღერალს – ტენორს შესრულებული აქვს: ლენსკის („ევგენი ონეგინი“), რუდოლფის („ბოჰემა“), მალხაზის („დაისი“), ჯარისკაცის („ჯადოსნური ფლეიტა“), კავარადოსის („ტოსკა“), მინდიას („მინდია“), ჰერცოგის („რიგოლეტო“), ნემორინოს („სიყვარულის ნექტარი“) და სხვა პარტიები, მას მიაჩნია, რომ უკვე ნაპოვნი აქვს გზა, რომელმაც იგი მეტროპოლიტენ-ოპერამდე უნდა მიიყვანოს, რათა იქიდან დაანახოს მშობლიურ ქვეყანას და ქართველობას, რომ ქართველი კაცის მუსიკალურ ნიჭიერებას საზღვრები არა აქვს და ყველაფერი ღვთიურ ნიჭთან ერთად, დიდ შრომასა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

დღე-ღამის განმავლობაში ლევანი 8-10 საათის განმავლობაში უკრავს, მღერის, მეცადინეობს, ეცნობა მსოფლიო მუსიკოსთა ბიოგრაფიებს, კითხულობს ენციკლოპედიებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაყურებელს უდიდესი სიამოვნება მიანიჭოს პარტიის უბადლო შესრულებით.

სულ ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში საერთაშორისო საოპერო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრებულმა ლევან აბუთიძემ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია და კიდევ ერთხელ გაამართლა უამრავ ცნობილ ქართველ საოპერო მომღერალთა ნდობა და არჩევანი, კერძოდ, მის შესახებ ნოდარ მამისაშვილი წერს: „ – ლევან აბუთიძე არის შესანიშნავი ტენორი, მისმა ულამაზესმა ხმამ და უიშვიათესმა ტემბრმა ბევრჯერ მოხიბლა მაყურებელი, იგი არის მაღალი დონის საოპერო მომღერალი, მიზანდასახული და საქმიანი ახალგაზრდა, ვისი-თაც უნდა ამაყობდეს ქართველობა.“

ლევანმა 2010 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისში ლადო ათანელის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ფინალში და გახდა ლაურეატი, 2014 წელს იგი მონაწილეობდა ტეხასის შტატის ქალაქ სანანტონში საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში, რომელშიც გაიმარჯვა და კონკურსის გენერალური დირექტორის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

2016 წელს მან ასევე მონაწილეობა მიიღო ამერიკაში გამართულ ლიცია ალბინესეს კონკურსში ნიუ-იორკში და უამრავ მონაწილეთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა აღიარებული.

რუსთაველი ლევან აბუთიძე ამჟამად ისევ ამერიკაშია და საუკეთესოდ მომზადებული პარტიებით, კერძოდ, ვერდის „რიგოლეტოდან“ – ჰერცოგის, პუჩინის „ტოსკადან“ – კავარადოსის, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინიდან“ – ევგენი ონეგინის და სხვა პარტიებით აპირებს დიდი ხნის ოცნების ასრულებას – დადგეს ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის სცენაზე და უსათუოდ მოიპოვოს გამარჯვება.

და მაინც რაშია ამ ქართველი მომღერლის გამორჩეულობა?

– მე გენეტიკურად მაქვს გადმოცემული ქართული ხალხური სიმღერისთვის აუცილებელი უნიკალური ხმა და ჩემს მიერ შესრულებულ ყველა პარტიას ისეთი ინტერპრეტაციით ვასრულებ, რომელიც ძალიან მოსწონს მსმენელს და მაყურებელს.

... ამერიკაში გაფრენამდე 2 საათით ადრე ლევანს აშკარად ეტყობოდა მღელვარება რუსთავთან, თბილისთან, მეგობრებთან, განსაკუთრებით კი თავის საყვარელ ოჯახთან, დედ-მამასთან, მეუღლესთან და პატარა ელენიკოსთან განშორების გამო, მაგრამ წინ დიდი მოლოდინისა და შესაძლო გამარჯვებების ეტაპია, რისი თანაზიარი და მონაწილეც მისი მშობლიური ქალაქი რუსთავი გახდება, ქალაქი, სადაც ასე ძალიან უყვართ აბუთიძეების ოჯახი ბევრი რამისა და უნიკალური სიმღერის ნიჭის გამო.

დაბოლოს, საკუთარ თავზე გადატანილი ბევრი წყენის, ტკივილისა თუ უსახსრობის მიუხედავად, ლევან აბუთიძემ თბილისის ოპერის სოლისტებთან ერთად დააფუძნა ქვემო ქართლის რეგიონული ფონდი, რომელიც ყოველ წელს ჩატარებული კონკურსებით ავლენს ნიჭიერ ვოკალისტებს, რომელთა შორის იქნებ რომელიმე საქვეყნოდ აღიარებული მომღერალი გახდეს.

წარმატებები და დიდი შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ ლევანს.

ლია მარტაშვილი

ქართულ ფოლადთან დაკავშირებული

გუგუნებდა მეტალურგთა ყოფილი სასახლე, დღეს უკვე თეატრი. მისი ვრცელი დარბაზი, იარუსები ხალხს ვერ იტევდა, მოწვეულნი თავისთავად, არადა, ვინც შეიტყო, ყური მოკრა, ყველამ აქ მოაშურა, მეტწილად ღვაწლმოსილნი აქტიურობდნენ, ადამიანები, რომლებმა უმძიმეს ჟამს საკუთარი მხრებით გადაარჩინეს და ადიადეს ქართული ფოლადის, ასევე ქართული უნიკალური მილების ღირსება, რომლებსაც ანალოგი არ ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში.

ამ დღის კიდევ ერთი გამოკვეთილი ზეიმი, დღესასწაულის გმირის გურამ ქაშაკაშვილის ზეობასთან ერთად ეს იყო იმ მივიწყებულ ამაგდარა მემარტენეების, მებრძმედეების, მგლინავებისა მილმგლინავების სიხარული, თავიანთ ღვაწლმოსილ, ამაგდარ წინამძღოლთან ერთად, ისინიც გამოჩნდნენ, გამომზიურდნენ, თან სიყვარულით ულოცავდნენ ბატონ გურამს და უხაროდათ ეს ზეიმი რომ შედგა, თურმე საჭიროა წარსულის გახსენება, გაწეული ღვაწლის გამომზიურება, ადამიანებისგან ადამიანების მიერ ამაგის დაფასება.

ჩინებულად მორთულ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამოჩენილი ადამიანები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების ღირსეული მსახურნი თბილისიდან, ზესტაფონიდან, ბაღდადიდან, როგორც წესი, მასპინძლები აქტიურობდნენ. აქ ყველა იხსენებდა გურამის დიდ ბიძას, ნიკოლოზ ქაშაკაშვილს, ცნობილ მეტალურგს, ყოფილ საბჭოთა კავშირში აღიარებულს, რუსთავის მეტალურგიის მესაძირკვლეს, რომლის ნაკვალევს მიჰყვა ჭაბუკი გურამი და ამგვარად თვითონაც ფრიად აღმატებული, დიდად თვალსაჩინო ხელმძღვანელი გახდა.

ყველაზე მთავარი, რაც ამ ამაგდარმა კაცმა გააკეთა, მაინც ის მიმაჩნია, რომ მან მეტალურგია, რომ იტყვიან, ააყვავა. კიდევ მეტი, ქვეყნისათვის უმძიმეს 1990-იანი წლების დასასრულს, რომ სუფევდა საქართველოში, ბატონ გურამს საწარმოში დასაქმებული ჰყავდა 8 ათასი ადამიანი, ამდენი ოჯახი და კიდევ, მართლაც წარმოუდგენელია, ქვეყნისათვის ამ კატასტროფულ წლებში იგი ქალაქის 170-ათასიან მოსახლეობას უფასო ბუნებრივი აირით ამარაგებდა, რაც დღეს ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენება.

აქვე არ შემიძლია რუსთაველთა სახელით მადლობა არ ვუთხრა ამ საიუბილეო ღონისძიების ინიციატორებს, ორგანიზატორებს, პარლამენტარებს პაატა მხეიძეს, გიორგი ბეგაშვილს. იუბილარს მიულოცეს პარლამეტარმა მარინა ჯაშმა, ქვემო ქართლის მხარის გუბერნატორმა გრიგოლ მხეიძემ, რუსთავის ახლად არჩეულმა მერმა ირაკლი ტაბაღუამ, რუსთავის საპატიო მოქალაქემ ვალერიან გრძელიშვილმა და, შეიძლება ითქვას, მთელმა ქალაქმა.

გურამ ქაშაკაშვილის იუბილე იმ ვეტერან მეტალურგთა ზეიმიც იყო, ვიმეორებ, რომლებიც აქამდე თითქმის არავის ახსოვდა, არადა ხანდაზმულთა ამაგდართა, უხუცესთა მოფერება, ეს ხომ უფლის მიერაა დალოცვილი.

გივი ჯახუა,

რუსთავის საპატიო მოქალაქე, „საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

P.S. *თავის სამადლობელო სიტყვაში იუბილარმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო იოსებ სტალინის როლს მეტალურგიული კომბინატისა და ახალი, ინდუსტრიული ქალაქის აღმშენებლობის საქმეში, რომ დიდი ქართველმა მამულშვილმა მაშინ 5 ათასი ქართველი, ომში გასაგზავნი ჭაბუკები გადაარჩინა, და არა მარტო ის, საქართველოს თავის ისტორიული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანას შეუნარჩუნა, რომ არა რუსთავი, დღეს სახელმიფო საზღვარი ფონიჭალის მომიჯნავედ, ზედ თბილისზე იქნებოდა მიტმასნილი.*

გ. ჯ.

თამარ შავერზაშვილი
პირველი ქართველი საბავშვო კომპოზიტორი ქალი

საბავშვო მუსიკა, მუსიკის სფეროში ნაწარმოებთა შექმნის პროცესად კი არა, ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ მეთოდად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან მსოფლიოს ქვეყნებში გავრცელდა უნგრელი კომპოზიტორის, ფოლკლორისტის და მუსიკათმცოდნის ზოლტან კოდაის ეგრეთ წოდებული მუსიკალური განვითარების იდეალისტური მიმართულება, რამაც მომდევნო პერიოდში გარკვეული ბიძგი მისცა მის საფუძვლიან შესწავლას და მეცნიერულ კვლევას. მუსიკასა და სიმღერისადმი წვდომა, მისი აღქმა ბავშვებში მხატვრულ-ესთეტიკური და შემეცნებითი აღზრდის უპირველეს და აუცილებელ ფაქტორად გვევლინება. ამიტომ ამ სფეროში მოღვაწე კომპოზიტორებს, პედაგოგებს და აღმზრდელებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ, რათა ბავშვებში უდიდესი ლტოლვა და ინტერესი დაბადონ ამა თუ იმ ნაწარმოების მიმართ, მათი იოლად დაუფლებისა და ათვისების მიზნით. ფაქიზად მიუდგნენ და ყურადღებით მოეკიდონ ბავშვების ფსიქოლოგიურ გაწყობას და ხასიათს. აქედან გამომდინარე მთლად იოლი არ არის საბავშვო მუსიკალური თუ სასიმღერო ნაწარმოების ჯერ შექმნა და შემდეგ მისი დამკვიდრება. ამავე დროს ძალიან რთულია ამ დარგში გაუკვალავ გზაზე სიარული, რაიმე წინა პირობისა და ტრადიციის არქონის შემთხვევაში. სწორედ ასეთი სირთულის წინაშე აღმოჩნდა პირველი ქართველი ქალი კომპოზიტორი, არაჩვეულებრივი საბავშვო მუსიკალური ნაწარმოებებისა და სიმღერების შემქმნელი თამარ შავერზაშვილი თავისი შემოქმედების საწყის პერიოდში.

თამარ ანტონის ასული შავერზაშვილი დაიბადა 1901 წელს ქალაქ ქუთაისში, ქართველ კათოლიკთა ოჯახში. სამწუხაროდ, დედა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა. ამ ტრაგედიას ერთვოდა აგრეთვე ოჯახის დუხჭირი ცხოვრება. ასე რომ, თამარმა ბავშვობის წლები სიღარიბეში გაატარა. ამ პერიოდშივე დაიბადა მასში მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარული, ხშირად ესწრებოდა სიმღერა-გალობის პროცესს ეკლესიაში. სულ მალე იგი ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე ხდება, სადაც დიდი მონდომებით პირველ დაწყებით მუსიკალურ განათლებას ეუფლება.

ნებისმიერი ხელოვანის ბიოგრაფიაში არის პერიოდი, როცა იგი თავისი შემოქმედების მწვერვალს აღწევს, ქმნის ერთ ან ორ ნაწარმოებს და ამით იმკვიდრებს სახელს საზოგადოებაში. ასეთ სიტუაციას ჰქონდა ადგილი თამარ შავერზაშვილის შემთხვევაშიც. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, დამწყები კომპოზიტორი აქვეყნებს ორ რომანსს, რომელმაც მას საერთო აღიარება მოუტანა: „ლერწამი ხარ“ (სიტყვები იოსებ გრიშაშვილისა) და „სამშობლო“ (სიტყვები რაფიელ ერისთავისა). „ლერწამი ხარ“ კომპოზიტორმა, როგორც მისი შთაგონების წყაროს, ლეგენდარულ ვანო სარაჯიშვილს მიუძღვნა. იგი მომღერალმა პირველად 1920 წლის 10 ივნისს შეასრულა თბილისის ოპერის თეატრში და ამით ახალგაზრდა კომპოზიტორი საზოგადოებას წარუდგინა. რომანსი გამოირჩევა თავისი ხასიათით, მუსიკალური ფაქტურით, გამომსახველობით და მოძრავი მელოდიით (ჩემს მიერ იგი ხშირად სრულდებოდა სხვადასხვა საღამოკონცერტებზე, ჩაწერილი მაქვს გრამფირფიტაზე და კომპაქტდისკზე). შემდგომში ქალბატონი თამარი ხშირად ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა: „ქართული რომანსის შთამაგონებელი და წარმატების მიზეზი ვანო სარაჯიშვილია. რაც კი რამ ქართული რომანსები მოგვეპოვება, მხოლოდ ვანოს შესრულების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ქართულ და კარგ რომანსებად... ვოცნებობდი ქართული რომანსისა და ოპერის შექმნაზე, მაგრამ რომელიმე მათგანს მხოლოდ მაშინ შევბედავდი, როცა ნათლად წარმოვიდგენდი, თუ როგორი გამოვიდოდა იგი ვანო სარაჯიშვილის შესრულებით!“ სხვათა შორის ვანო სარაჯიშვილი მთელი მონდომებით ამხნევებდა და გვერდში ედგა თამარ შავერზაშვილს საბავშვო ოპერა „იავნანამ რა ჰქმნას“ პირველი ნაწილის წერის დროს. ამ მხრივ მომღერალი საოცრად ბეჯითი და ყურადღებიანი კონსულტანტი იყო.

1923 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ პირველად დაიბეჭდა თამარ შავერზაშვილის სიმღერა „მინდორში“ (ლექსი გიორგი ქუჩიშვილისა); „ცანგალა და გოგონა“, „ციცუნია“ (ლექსი შიო მღვიმელისა); „ქეთოს მერცხალი“ (ლექსი ლიდია მეგრელიძისა) და სხვა. ამავე წელს იგი ამთავრებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო (პედაგოგი ი. აისბერგი), ხოლო 1925 წელს საკომპოზიციო (პედაგოგები: ა. შჩერბაკოვი და ი. ტუსკია) განხრით. მომდევნო პერიოდში თამარი ამთავრებს ასპირანტურას საკომპოზიციო მიმართულებით და იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას ჯერ კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა სკოლაში, შემდეგ კი უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელში, კონსერვატორიაში, სადაც დამწყებ მუსიკოსებს ასწავლის სოლფეჯიოს და მუსიკის თეორიას.

თამარ შავერზაშვილმა თავისი მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მიუძღვნა იქამდე არ არსებულ საბავშვო მუსიკას. იგი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც ამ მეტად ფაქიზ ჟანრს შეეჭიდა და უმაღლეს პროფესიონალურ დონემდე აიყვანა, შექმნა უამრავი საინტერესო სიმღერა და მუსიკალური პიესა ბავშვებისათვის: „ჩიტი“, „გუგული“, „ნანა“, „დათუნიას ბაჯბაჯი“; საორკესტრო — „საბავშვო ალბომი“, „ალბომი ახალგაზრდებისათვის“, „ნოქტიურნი“, „კვარტეტი სიმებიანი საკრავებისთვის“, „სოლ მინორი“ და რაც მთავარია, დაასრულა საბავშვო ოპერა „იავნანამ რა ჰქმნა?!“, რომელიც თავისი პატრიოტული და ჰუმანური შინაარსით, ამასთანავე მხატვრული და მუსიკის იოლად მისაწვდომი ხასიათით, ბავშვებისათვის ჭეშმარიტად ძვირფას საჩუქარს წარმოადგენდა. შავერზაშვილმა თავისი საკომპოზიტორო მოღვაწეობის მანძილზე 50-ზე მეტი საბავშვო სიმღერა, მუსიკალური სურათი, გამოცანები და მრავალი საფორტეპიანო პიესა დაწერა. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ საბავშვო საფორტეპიანო ლიტერატურას. მისი ყოველი ნაწარმოები დაწერილია დიდი სიყვარულით, ფაქიზი გემოვნებით, ბავშვთა ფსიქიკის ღრმა ცოდნით, საინტერესო ჩანაფიქრის შესაბამისი მუსიკალურ-მხატვრული სახის შექმნის უტყუარი უნარით.

გარდა საბავშვო მუსიკისა, თამარმა არა ერთი ნაწარმოები მიუძღვნა უფროსებს. მის კალამს ეკუთვნის სიმფონიური ნაწარმოებები, რომელთაგან აღსანიშნავია სიუიტა სამ ნაწილად; „ქართული საცეკვაო“; „ორი მარში“; საფორტეპიანო პრელუდიები; „აღმოსავლური ცეკვა“; ნოქტიურნი; „ქართული“; ეტიუდები, უამრავი რომანსები და საგუნდო ნაწარმოებები. კამერულ-ინსტრუმენტალური მუსიკის დარგში მას დაწერილი აქვს სიმებიანი კვარტეტი, სიუიტა ხის სიმებიანი საკრავებისათვის, სიუიტა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსთვის, პიესები ვიოლინოსა და ვიოლონჩელისათვის.

იგი თავისი კეთილსინდისიერი პედაგოგიური მუშაობით, საგნის ღრმა ცოდნით და ახალგაზრდებისადმი გულითადი დამოკიდებულებით ყოველთვის გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მას 1946 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

გარდაიცვალა 1955 წელს, ჯერ კიდევ შემოქმედებითი აღმავლობისა და გაფურჩქვნის პერიოდში, 54 წლისა...

თამარ შავერზაშვილი ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა პლეადას, რომლებიც თავიანთი შეგნებული ცხოვრებითა და შემოქმედებით კვებავდნენ და ასაზრდოებდნენ მშობლიური ქვეყნის მომავალს. მან მთელი თავისი იშვიათი ნიჭიერება და უნარი სრულად მოახმარა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ზრდისა და აყვავების საქმეს.



გელა ჟოჟიაშვილი
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

მთაწმინდის ახალ ბინადარს...



ძვირფასო მეგობრებო, ვის გააკვირვებს წუხილი ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის გარდაცვალებისა გამო, მაგრამ სულ სხვაა ძალოვანი სტრუქტურების უმაღლესი რანგის თანამშრომლის ბატონი გურამ ჯანიაშვილის მიერ მისი ხსოვნისათვის მიძღვნილი ლექსი. ბატონი გურამი აფხაზეთში ავღანელთა ბატალიონის მეთაური გახლდათ და სასიამოვნოდ იგონებს ბატონი ჯანსუღის იქ ყოფნის დღეებს.

ბატონმა გურამმა წლების განმავლობაში ედუარდ შევარდნაძის დაცვას და სამთავრობო დაცვის სამსახურს უხელმძღვანელა. ამჟამად იგი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გორგასლის მეორე და მესამე ხარისხის ორდენის კავალერი, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა.

პატივისცემით თქვენი მეგობარი
კობა ბუჩუკური

ჯანსუღ ჩარკვიანის ხსოვნას

ერთი ლამაზი კაციც გაგვცილდა,
ბინა დაიდო მთაწმინდის მთაზე,
მან პოეზიის შექმნა ეპოქა,
მუდამ მავალმა წინაპართ კვალზე.
ახალგაზრდობას გვიძღოდა მუდამ,
თქვენი ლექსების კაცური სული,
სახელი თქვენი უკვდავქმნილია,
ვერას დააკლებს მავანი კრული.
გავა ხანი და თქვენი ცხოვრება,
მომავლისათვის იქცევა ზღაპრად,
თქვენს წმინდა ხსოვნას გულში ჩაიკრავს,
ილოცებს თქვენზე, მარად და მარად.
თითქოს აცივდა, დამოკლდა დღენი,
ეს შემოდგომაც ბოლო თვეს აკრავს,
დედა-ღვთისმშობლის ისმის ლოცვანი,
მთაწმინდის მთვარეც დაგირწევთ აკვანს.

გურამ ჯანიაშვილი
09.11.17

ტოლერანტობა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის უწყვეტი ტრადიციაა

საქართველოს პრეზიდენტი ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„დღეს მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს აღვნიშნავთ.

განსხვავებულის მიღება თავისუფლებისა და შინაგანი ძალის გამოვლინებაა. ამ თავისუფლების გაძლიერება საზოგადოების განვითარების საწინდარია.

თავისუფალი, ევროპული საქართველოს შენებისას სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ საზოგადოების ყველა ჯგუფს, თითოეულ ინდივიდს, მიუხედავად სხვათაგან განსხვავებულობისა, ჰქონდეს განცდა, რომ ამ პროცესის მონაწილე და შემოქმედია. ჩვენი კულტურული მრავალფეროვნების, განსხვავებულ ტრადიციათა და ადამიანთა ინდივიდუალობის მიღება, გაგება და პატივისცემა აუცილებელი პირობაა თანხმობის, მშვიდობისა და საყოველთაო განვითარების საზოგადოების ასაშენებლად.

ტოლერანტობა ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის უწყვეტი ტრადიციაა. საუკუნეთა მანძილზე ამ მიწაზე უპრობლემოდ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიისა თუ სხვა ნიშნით განსხვავებული ადამიანები, რომლებიც ერთად ქმნიან ჩვენი საერთო სამშობლოს ხვალინდელ დღეს.

ამ ფასდაუდებელი მემკვიდრეობის შესაბამისად, უნდა ვიზრუნოთ, რომ ტრადიციებმა ახალ დროში ახალი სიცოცხლე შეიძინოს, რომ საქართველო მუდამ იყოს ისეთი, როგორადაც მას დიდი ილია აღწერს: მშვიდობისმყოფელი სავანე და სინდისის თავისუფლების ადგილი ყველასათვის“, — ნათქვამია განცხადებაში.

ავმაღლდეთ

რამდენადაც მახსოვს, ამ თემაზე გასულ წლებშიც მიფიქრია და წერილიც დამიწერია, მაგრამ გასული წლები კი არადა, ყოველი დღე ტვინს მიბურღავს მწარე ფიქრი – ვინა ვართ, რანი ვართ, ერი თუ მცხოვრებნი.

...ჩვენი სახლის ერთი სადარბაზოდან ტანით, ფეხით და, გნებავთ, თავითაც, ერთი კარგად ჩასხმული, „ზორბა“ კაცი გამოდის, მას ყოველ დილით სახლის წინ გაპრიალებული, სახელმწიფო ავტომობილი ელოდება, ჩაჯდება ეს კაცი ამ მანქანაში და მიდის, ვინ იცის სად, რატომ, რისთვის. დიახ, რატომ ირჯება სახელმწიფო და საწყალი, მშრომელი ხალხის, პენსიონრების და სხვათა საშემოსავლოებით მოგროვილ ბიუჯეტიდან ამ კაცის (და ასეთთა უამრავის) მანქანით სატარებელ ფულს ხარჯავს. ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე ფეხითაც აგვარებდა თავის საოჯახო, ავსა თუ კარგ საქმეებს და ახლა რა მოხდა, რა ნახა სახელმწიფომ ამ კაცში ისეთი, ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო და გამოსაყენებელი...

ვერაფერსაც ვერ ნახავდა, ძალიანაც რომ ეძებნაო, მიპასუხა ჩემს გაკვირვებაზე მეგობარმა, რომელთანაც ხშირად გულღიად ვსაუბრობ. მასეთების მეტი რა ვიცი, საერთო საქმისთვის თითსაც არ ანძრევენ, რომელ საქვეყნოზე ვსაუბრობთ, იმ შენობისთვის, იმ ეზოსთვის, სადაც თავად ცხოვრობენ, არასოდეს უზრუნვიათ, არაფერი არ აინტერესებთ ფულის, ქონებისა და კარიერის მოხვეჭის გარდა. კომკავშირიდან მოდიან და იმ დროიდან ვიცნობ მასეთებს, იქ დასაწინაურებლად რა ხერხსა და ფანდებს არ მიმართავდნენ, ყამირის „ასათვისებლად“ მიდიოდნენ, ქულებს იგროვებდნენ, ყველა დროისა და განურჩევლად ყველა იდეოლოგიის მთავრობაში მოსახვედრად გზას ეძიებდნენ, უფროსობისადმი „დოქსოპულოობით“ სასურველს აღწევდნენ კიდეც, მერე უკვე თბილ ადგილებზე მოხვედრილები, ახლა თავად ეძებდნენ დოქსოპულოებს და სულაც არ უჭირდათ მათი პოვნა.

კომკავშირის ხსენება არ მესიამოვნა, ბევრ სამაგალითო, კარგ ახალგაზრდას ვიცნობდი. თამრიკო წარმომიდგა თვალწინ, ჩვენი ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მართლაც რომ ნიჭიერი, წესიერი და ყველაფრით შემკული ახალგაზრდა... მაგრამ ერთი და ორი თამრიკო ყველა ორგანიზაციასა და პარტიასაც ჰყავდა და ჰყავს, მომავალშიც ეყოლება უთუოდ... ათას დოქსოპულოს ორი და სამი მერცხალი რას უშველის. ჩვენ ზოგადზე ვსაუბრობთ ახლა. დოქსოპულოებით გაივსო ქვეყანა. მავნე ხოჭოებივით მოედვნენ ჩვენს მიწა-წყალს. წაბილწეს ერის სახე.

ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდა საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებსო, – გვასწავლის ილია მართალი. ერისაო, ამბობს, მაგრამ თუ თითოეული ჩვენგანი ერის ნაწილია და ერთობლიობაში ერს ჰქმნის, მაშინ ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე. „ზორბები“ და, გნებავთ „ზომბები“ ზემოთ და ზემოთ ისე აცოცდნენ, რომ არც ისტორია უკითხავთ და არც სხვა რამ ლიტერატურა, ეჭვი მეპარება იცოდნენ საგანი – ისტორიის მნიშვნელობა, მაგრამ ხომ გეუბნებით, ისტორიის მცოდნეებზე და სხვა ნებისმიერ საჭირო და ქვეყნისთვის სასარგებლო პროფესიონალებზე უფრო სარგებლის მომტანნი და ხელისგულზე საგოგმანები გამხდარან, რატომღაც... ამაზე ბევრი რამ მეტყველებს, თუნდაც ის, რომ იმ სადარბაზოში, საიდანაც ეს ჩვენი ზორბა-გმირი გამოდის და იქვე ელოდება მომსახურე მანქანა, ერთი-ორი პროფესორიც ცხოვრობს საქმით და სიტყვით ნამდვილი პროფესორი...

სიტყვა „ზომბი“ ვიხმარე. იგი უფრო სხვა რამეს ნიშნავს, მაგრამ მე ზომბებს ვუწოდებ მათაც, ანუ ყოველგვარი წიგნიერებისგან, ზრდილობა-კულტურისგან და რაიმესა და ვინმესადმი პასუხისმგებლობისგან დაცლილებს. მართალია, ადამიანებს არ ჭამენ, მაგრამ სხვის ნაშრომსა და ნაოფლარს უსირცხვილოდ ითვისებენ. „ასეთი კაცი რიღას მაქნისია? იგი ნადირია“ და რა ქნას ახლა ჩვენმა ხალხმა, ასეთი უსულგულოები და სხვის ნაშრომზე გაზულუქებულები რომ გაგვიბატონდნენ. მათთვის სიტყვა სამშობლო მხოლოდ საცხოვრებელ ადგილს ნიშნავს, იმის იქით ვერ აზროვნებენ, სამშობლო კი საკუთარი სახლ-კარივით მოვლას რომ საჭიროებს, ვერ წარმოუდგენიათ. მარტო ერთი რამისთვის ცხოვრობენ – იშოვონ მეტი, მოაგროვონ ქონება მხოლოდ თავისთვის. აი, ამ მიზნით ეძიებენ სამსახურს და იცით, სად? სამთავრობო სტრუქტურებში. ამიტომ არის ყოველი სამთავრობო თუ ადგილობრივი მმართველობის არჩევნების წინ ატყდება ერთი აურზაური, დგება დეპუტატობის კანდიდატთა გრძელი სიები, არის ხმაური, გაწევ-გამოწევა, დაუნდობლობა, ლანძღვა – გინება, ძალადობა...

ერის წარმოშობის ისტორიას თუ გადავხედავთ, არ შეიძლება, რომ ამ ტერმინის შინაარსში ჩაწვდომის მსურველი განცვიფრებულიც და ოდნავ დაბნეულიც არ აღმოჩნდეს. მრავალი ცნობილი ფილოსოფოსი და სოციოლოგი გვაწოდებს თავის მოსაზრებას ერის შესახებ. ზოგი ფიქრობს, რომ იგი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში გაცოცხლებული ფენომენია, ზოგს კი ჰგონია, რომ იგი ძველთაძველია და წარმოადგენს პოლიტიკური ფორმაციის ერთ-ერთ ტიპს. ერთნი ამბობენ – ძველი ეგვიპტე იყო პირველი ერი-სახელმწიფო! მეორენი კი – ინგლისი იყო პირველიო და ასე შემდეგ.

ჩვენი ერის წარმოშობის ისტორიაზე კი რა მოგახსენოთ, აქაც ბევრ უცნაურობას ვიხილავთ. მეცხრამეტე საუკუნეში შედგაო – ამბობენ, ზოგიც კი მის წარმოშობას უძველეს საუკუნეებს მიაწერს, ანუ იმ დროს, როდესაც უძველესმა ძართველმა ტომებმა (ძაშძები და მუშძები) კოლხასა და დიაოხის სახელმწიფოებად იწყეს გაერთიანება.

ასეა თუ ისე, ერები და ეროვნებები კარგა ხანია, უკვე ქვეყანაზე არსებული რეალობებია, ისიც ვიცით (ასეა დაწერილი), რომ ერი თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე ჩამოყალიბებული მოქალაქეთა ერთობლიობაა. ბევრ რამეში მეცნიერები ედავებიან ერთმანეთს, მაგრამ არავინ დავობს იმაზე, რომ ხალხის ერად ჩამოყალიბება პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესთან ერთად ემყარება განათლებას და კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ერის ტერიტორიაზე სხვადასხვა ეთნოსებიც ცხოვრობენ, მაინც მოქალაქეობას უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკურ იდენტობას. ასეთ ერად და ქვეყნად საქართველოს მოვიაზრებ, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკურს ვერ დავარქმევ მას. „პოლიტიკურ-კულტურული“ ერია ჩვენი ერი და მინდა, ამით ვიამაყო, მაგრამ, როდესაც ვხედავ მომეტებულად მომრავლებულ ისეთ ადამიანებს, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრე, როდესაც ვხედავ დანგრეული განათლების სისტემას, დაბინძურებულ, პირდაუბანელ კულტურას, ვხედავ ხალხისგან მასობრივად დაცლილ სოფლებს, საზღვარგარეთ გაქცეულ და გასაქცევად გამზადებულ ახალგაზრდებს, რომელთა უმეტესობა ოცნებობს იქ დაფუძნებაზე, როდესაც ვხედავ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში გამოზრდილ აწ უკვე საქვეყნოდ ცნობილ მომღერლებს თუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც უკვე არ არიან ჩვენი მოქალაქეები, როდესაც ვხედავ გაქცეულთა ნასახლარებზე გალაღებულ-გამრავლებულ უცხოელებს... და მის ისტორიულ პატრონს ეს არც აწუხებს და ამაზე არც ფიქრობს, რა ვქნა, რა გზას დავადგე (დავადგეთ!), ჩავრთო რადიო და ორშაბათსა და ხუთშაბათ საღამოს ვუსმინო ჩვენს ძვირფას ადამიანს, საპატიო თბილისელს თამაზ ტყემალაძეს? დიახ! ასეც ვიქცევით ზოგიერთები, უმეტესად ასაკოვანნი, თორემ, ახალგაზრდებს ვინ დააჯენს რადიოსთან, სად სცალიათ, კომპიუტერებში და ღამის ბარებში გართულთ, „დონ კიხოტობაა“, მაგრამ მაინც გამოსავალს ვეძებ და ვერ ვპოულობ, ნუთუ მხოლოდ გაუნათლებლობაში არის ჩვენი ერის დაძაბუნების მიზეზი? კი, ნამდვილად აქაც, მაგრამ ვფიქრობ, რომ მთლად ასე როდია! სოფელში მცხოვრებს, მშვენიერი ეზო-სახლ-კარის პატრონს როგორ უნდა გაუძლოს გულმა, მიატოვოს თავისი უძველესი მამაპაპური ადგილი და მისთვის სრულიად სხვა გარემოში, სხვა კულტურაში ამოყოს თავი, აკეთოს მისთვის სრულიად უცხო და არცთუ ისე ადვილი საქმე. ნუთუ არ ენატრება თავისი მიწის სურნელი, სახლი, რომელიც ძალიან კარგად იცის, რომ უპატრონობით, სულ მალე, სულ მოკლე დროში განადგურდება... ანდა, რა დაემართათ ჩვენს ქალებს, სად მიილტვიან, სად გარბიან, ბევრი დაუოჯახებელი, ბევრი დაოჯახებული, როგორ ატოვებენ უძლურ მშობლებს, ხშირად შვილებსაც კი... როგორ გაიუცხოებენ მშობლიურ გარემოს და... ეჰ, ვწერ ამ სტრიქონებს და განა არ ვიცი, რომ ძალიან, ძალიან ბევრი მათგანი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგომამ, გაჭირვებამ და შიმშილმა განდევნა ჩვენი ქვეყნიდან და თითქოს რა გვაქვს სალაპარაკო და სასაყვედურო მათდამი, მაგრამ... ძალიან ბევრი „მაგრამი“ არსებობს, მათ შორის უპირველესი ადამიანის ბუნებაა, თუ ბუნებით ხარ შეუღლებული შენს მშობლიურ მიწასთან, უძლურია მაშინ მასთან სხვა ძალა. ყველამ ვიცით და რა დაგვავიწყებს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ილიას გულიდან ამოხეთქილ სიტყვებს:

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი
განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ
მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად,
ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა
შეუღლებული!“

ეს ლექსი ხომ სამშობლოსადმი ერთგულ სიყვარულს გამოხატავს, მაგრამ მართლაც სასწაულია სრულიად ახალგაზრდა ილიას წვდომა ადამიანის ბუნებაში! ადამიანის ბუნება სულ სხვა ფენომენია და რა ვქნათ მაშინ, კაცს თუ ბუნებამ არ უშველა? განათლება, განათლება – ჩემო ძვირფასებო, იგი მეორეა, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი „მეორე“! რომელიც ბევრი რამის ცოდნასთან ერთად შენი ერის ტრადიციებშიც ღრმად ჩაგახედებს, ილიასაც კარგად გაგაცნობს, ვაჟასაც, უფრო შორსაც წაგიყვანს, სხვა ერების ცივილიზაციებსაც მოგატარებს, შეგადარებინებს საკუთართან, ბევრ უპირატესობასა და ნაკლსაც აღმოგაჩენინებს შენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიაში და ამრიგად დაგიახლოვებს, შეგანივთებს საკუთარ, მშობლიურ კულტურას... მაგრამ ყოველივე ამის მიღწევას ხომ თავიანობა უნდა. ხომ უნდა გამოჩენილიყო ადამიანი (ადამიანთა ჯგუფი), რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ამჟამად ქვეყნიდან გაქცეულ იმ მილეთ ხალხს, ათასობით ჯანსაღ მუშახელს, ადგილზე შრომით მიაგნებინებდა სამშობლოსა და საკუთარი ოჯახის გადარჩენის გზებს (ერთობლივი კოოპერატივები, მიწის დამუშავების ხერხები, შრომა და მოპოვება!), რომლის ვითომცდა კომპენსაციასაც ახლა არაბები, ჩინელები, თურქები და სხვები „გვიხერხებენ“.

ძვირფასო მკითხველო, იმედი მაქვს, დამეთანხმებით, განა მართლა, იმ უამრავი სამსახურების წარმოქმნას, რომლებიც გაქცევაში (მხედველობაში მაქვს პასპორტების და სხვა დოკუმენტების გაფორმებისთვის შექმნილი დაწესებულებები) ხელს უწყობენ ჩვენს საწყალ (ზოგი მათგანი სულაც არ იყო საწყალი!) თანამემამულეებს, ჭკვიანი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული რამდენიმე ადამიანი მოგვეძიებინა და იმათთვის მიგვენდო ეს საშვილიშვილო საქმე?

ეჰ, სამწუხაროდ, არ გამოგვიჩნდა ილია. თუმცა, არა მგონია, რომ მხოლოდ ილიას მსგავსთა გამოჩენაც იყოს გამოსავალი. სულ სხვაგვარ საუკუნეში, სხვაგვარ საზოგადოებაში გვიწევს ცხოვრება. საზოგადოებაში, რომელსაც უზარმაზარი მატერიალური საუნჯე დაუგროვებია. და რა გასაკვირია, რომ ასეთი საზოგადოების თითოეული წევრიც მატერიალური ღირებულებების მოპოვებით იყოს დაინტერესებული, მაგრამ თუ ჩვენ (საზოგადოებას) უნდა, რომ შეინარჩუნოს ადამიანობა, თუ ჩვენ გვინდა, რომ მატერიალურთან ერთად შევქმნათ ჩვენი კულტურული გარემო, არ უნდა გვავიწყდებოდეს სულიერება და მის ამაღლებაზე ზრუნვა. საკუთარ თავზე ამაღლებისკენ მისწრაფება კაცობრიობის მემკვიდრეობითი ნაწილია, უამისოდ ვერავითარი და ვერანაირი ცივილიზაცია ვერ მიიღწეოდა. **ასეთი მისწრაფება, თავის თავზე ამაღლება რომ გვქონდეს, საჭირო, როგორც მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები გვასწავლიან, ღრმა ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება, „რადგანაც ღრმა ისტორიული მეცნიერების არმქონე საზოგადოებაში მომავალი წყდება, ხოლო აწმყო უაზრო კაკაფონიად იქცევა“.** ამასვე გვასწავლის დიდი ილია, ერის დაცემა ისტორიის დავიწყებით იწყებაო. ძალიან ხშირად და ამ წერილის წერის დროსაც ვნატრობდი, ნეტა ილიას მსგავსი მოგვევლინებოდეს-მეთქი.

არა, არა ვართ სწორი! გვეყო ერთი და ორი ღმერთკაცის ექსპლოატაციით ცხოვრება. შევისწავლოთ მათი ნაღვაწი, მათი შეგონებები, მათი სიბრძნე და ყველამ ერთად ვიმოძმედოთ ერის ასაღორძინებლად. უნდა ვშვათ ჩვენი მყოფობადი, განათლებისა და კულტურის ცოდნით, შეგნებით, შრომით და გარჯით მივცეთ მომავალი ხალხს. ხომ გვინდა, რომ თანამედროვე კაცობრიობას დავუმშვენოთ გვერდი და დავრჩეთ ძართველ ერად, თუ სულ ისე გაუგებრად და უკუღმართულად ვიცხოვროთ და არ ვიცოდეთ, ვინა ვართ – ერი თუ მცხოვრებნი, უბრალოდ – მოსახლეობა?

გულნარა სტურუა

პროფესიის პრესტიჟი – მხნედ, კოლეგავ!

მოდი „ვიჩხუბოთ“, ოღონდ საქმე ვაკეთოთ!

მასშტაბური და მიზანსწრაფული

მობილურზე ნომერი მეუცხოვა, ხმაზე კი მაშინვე მივხვდი ვინც მირეკავდა. პაატას საიუბილეოდ წიგნი არ გავუკეთოთ? ჰოდა, მასზე რაიმე უნდა დაწეროო.

ზარი მანანა კარტოზიასგან იყო – ცნობილი ჟურნალისტი, რედაქტორი, გამომცემელი, თავისი საქმის ძალიან დიდი პროფესიონალი, – ხოლო ჩვენი საუბარი პაატა ნაცვლიშვილს ეხებოდა. მანანა მთხოვდა, ქაღალდზე გადამეტანა ჩემი მოსაზრებები კაცზე, რომელმაც, ამ ორი ათეული წლის წინათ მანანას რედაქტორობით გამომავალ „დილის გაზეთში“ „პატივცემული გვამი“ მიწოდა. სეოკი ბევრჯერ (ჩემი აზრით, დაუმსახურებლად) გაკენწლა ამერიკული ატლანტიდან ამავე გაზეთში დაბეჭდილ წერილებში. მოგვიანებით ის ჩემდამი დაწერილ სპეციალურ წერილში სასხვათაშორისოდ იტყვის – ჩვენმა დაპირისპირებამ პრესაშიც კი გაჟონაო.

მიმაჩნია, რომ პაატასთან „ჩხუბისა“ თუ კამათის, უკიდურესობამდე მისული ემოციური საუბრის გარეშე ძნელად თუ რამე გამოვა. მე კი, მგონი, ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც პაატას „ჩხუბსა“ და კამათს არ ეპუება.

ბევრის მნახველი ვარ ცხოვრებაში, ათეულობით საინტერესო და ნიჭიერ ადამიანს შევხვედრივარ, მაგრამ მასავით უკიდეგანო შესაძლებლობების მქონეს – არავის. სულ ვფიქრობ ხოლმე – მის სხეულში რა ასეთი გენერატორი დგას, მოსვენებას რომ არ აძლევს არც ფიზიკურად და არც გონებრივად. გაოცებას იწვევს პაატას ნაკითხობა, ინფორმირებულობა, პროდუქტიულობა.

ოთხ ათეულ წელზე მეტია ვიცნობ და მისი ენერგია კვლავინდებურად დუღს და გადმოდუღს – ვერა და ვერ მოხერხდა მისი დაოკება! ხანდახან მგონია, რომ დღე-ღამეში 24-ს კი არა 25 საათს საქმიანობს. ამბობენ, ძალზე ნიჭიერებს დიდი შრომისმოყვარეობა არ ახასიათებთო, პაატას მაგალითზე ეს სიტყვები არ არის მართებული.

ისე, მართლაც რომ შესაშურად სამაგალითოა. საკვირველია, რამდენს ასწრებს და თან ყველაფერი ხარისხიანად გამოსდის. თავად განსაჯეთ: პოეტი (მისი მშვენიერი ლექსები პარიზშიც კი დაიბეჭდა), მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ესეისტი, რედაქტორი, წიგნის დიზაინერი, მკვლევარ-ისტორიკოსი, პედაგოგი (დღესაც ვინახავ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მის მიერ გაკეთებულ ჟურნალ „ობოობას“ ნომრებს), გამომცემელი, პოლემისტი, მოგზაური, ფოტოხელოვანი...

ჰობიც უნიკალური აქვს – ყველაფერს, რასაც ქაღალდი იტევს, აგროვებს: ნაწერები, ნაბეჭდები, მისალოცი და მოსაწვევი ბარათები, მარკები, კონვერტები, ექსპრომტები, წიგნები, ბუკლეტები, წერილები, ოფიციალური მასალები, ამონარიდები, ჟურნალები, ხელნაწერები, ნაჯღაბნებიც კი, და რა ვიცი, კიდევ ათასი ჯურის წვრილმანი თუ მსხვილმანი. არავინ უწყის, სად ატევს ან კიდევ როგორ აგნებს ხოლმე, სად რა აქვს! ვინც მასთან სახლში სტუმრობდა, დამეთანხმება – ვერ გაივლი: ან წიგნებს დაეჯახები, ან ქაღალდებით სავსე კარადებს, ან გაზეთების შეკვრას და რა ვიცი, კიდევ რას გადაეყრები ოთახში გადაადგილებისას!

ზოგადად ნაბეჭდთან დაკავშირებით გართულება აქვს – ყველაფერი უნდა, რომ სახლში მიზიდოს. წარმოდგენილი მაქვს, რა მრავალფეროვანი და უნიკალური არქივის პატრონია! ისიც მაქვს წარმოდგენილი, მათ დამუშავებასა და ფორმაში მოყვანას რამდენი დრო და ენერგია დასჭირდება.

პაატა ნაცვლიშვილი სეოკის დაფუძნების სათავეებთან იდგა. იყო საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი – მრავალი იდეით და საქმიანი წინადადებებით. სხდომებზე „ბუნტის“ შემომტანი, კამათისა და დავიდარაბის ამტეხი. ახლა სრულად ვაცნობიერებ, თუ რამდენად აუცილებელი იყო მუდმივი კამათი და სჯა-ბაასი, წამოჭრილი საკითხების ღრმა ანალიზი. ჩვენ მაშინ შეცდომის დაშვების უფლება არ გვქონდა. პაატა კი ყოველთვის გვაფხიზლებდა.

პაატა იყო სეოკის დაფუძნების ყრილობაზე დეკლარაციის ავტორი და მთავარი მომხსენებელი, პირველი ხელმძღვანელობის წევრი ვიცე-პრეზიდენტის რანგში, სეოკის აღიარების თაობაზე მრავალი მოლაპარაკების (თბილისში, მოსკოვში, ლოზანაში) მონაწილე და ერთ-ერთი მთავარი განმკითხავი, სეოკის ემბლემის კონკურსის ორგანიზატორი. განსაკუთრებული და შეურყეველი პოზიციაც გააჩნდა – სეოკის პირველი პრეზიდენტი უეჭველად ოლიმპიური ჩემპიონი უნდა იყოსო. ვერა და ვერ გადავარწმუნეთ. არა იმიტომ, რომ საორგანიზაციო კომიტეტის სხვა წევრები ოლიმპიურ ჩემპიონებს ჯეროვან პატივს არ მივაგებდით. არა, ასე არ იყო, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში, მათ შორის პოლიტიკური შემადგენელისა და სრულიად გამორჩეული განსაკუთრებული პიროვნული და სპორტული ავტორიტეტის გათვალისწინებით ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იმ პიროვნების არჩევა გახლდათ, რომელზეც კომიტეტის ყველა წევრი (მისი გამოკლებით) ერთხმად შევჯერდით.

...სხვათა შორის, პაატა, მგონი, დღესაც იმავე აზრზეა.

პაატამ ჩვეული ემოციით აიტაცა საქართველოში, კერძოდ ბორჯომში, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა. აქაც საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური და ენერგიული წევრი გახლდათ. მის მიერ ხორცშესხმულმა საგანაცხადო-საპრეზენტაციო ბუკლეტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობისათვის მნიშვნელოვან ბევრ საგანმანათლებლო პროექტზე ერთობლივად გვიმუშავია. თავისი შინაარსით უდავოდ უნიკალურია სპორტისა და ხელოვნების დამაკავშირებელი ალბომი „სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში“, რომელიც 2004 წელს გამოიცა. ალბომში თავმოყრილია 300-მდე ავტორის 700-ზე მეტი ნამუშევრის ფოტორეპროდუქცია – ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, ფოტო, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ყველაფერი ამის გზამკვლევი კი არის პაატა ნაცვლიშვილის მრავალათეულგვერდიანი წინასიტყვაობა (რომელიც, მე თუ მკითხავენ, უფრო სოლიდური ნაშრომი-გამოკვლევაა, ვიდრე წინასიტყვაობა). ამ შესანიშნავი გამოცემის კონცეფცია და დიზაინიც, რა თქმა უნდა, პაატას ეკუთვნის.

ჟურნალ „ოლიმპიელის“ განახლებაზე რომ მიდგა საქმე, სეოკის მაშინდელ პრეზიდენტს ბადრი პატარკაციშვილს ვის ვურჩევდი, თუ არა პაატას. მახსოვს, პირველი ნომერი რომ გამოვიდა, ბატონი ბადრი თავის ოქროყანის რეზიდენციაში იყო. ავედი, ჟურნალი გავუწოდე, კარგა ხანს ათვალიერებდა, განსაკუთრებით ფორმას, დიზაინს, ფერებს ჩაჰკირკიტებდა. „აი, ეს კი ნამდვილად ევროპული დონეა“! – მითხრა ბოლოს და დაამატა, – „მაგარი „სტილნი“ გამოვიდა!“

პაატას დიდი ხნის ოცნება იყო ერთი ძალიან მაშტაბური პროექტის ხორცშესხმა. ზოგადად აქვე უნდა ვთქვა, რომ იგი მასშტაბური და მიზანსწრაფულია შესაძლებლობათა გამოყენებაში! აკი აიხდინა თავისი მორიგი აკვიატება (ამ სიტყვის კარგი გაგებით) – სეოკის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა თითქმის ორიათასგვერდიანი ხუთტომეული „ხუთი რგოლი საქართველოსთვის“, რომელშიც ოლიმპიურ და სპორტულ თემატიკაზე სხვადასხვა დროს დაწერილი მისი თხზულებებია გაერთიანებული, და რომელიც, ფაქტობრივად, ქართული, და არა მარტო ქართული, ოლიმპიური მოძრაობის მატიანეა.

უკვე ათეული წლებია, დიდ ეროვნულ-პატრიოტულ საქმეს რომ აკეთებს – ქვეყნიერების ყველა კუთხე-კუნჭულში ეძებს და პოულობს ქართველ ემიგრანტებს, აცნობს მათ ისტორიულ სამშობლოს, საქართველოს კი უბრუნებს ბედის უკუღმართობით თუ სხვა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზებით მშობლიურ მიწას მოწყვეტილ თანამემამულეებს და მათ უძვირფასეს არქივებს. შეუფასებელია ამ კუთხით პაატას რედაქტორობით წლების მანძილზე გამომავალი გაზეთ „სამშობლოს“, დღეს კი მის მიერ დაარსებული ქართული ემიგრაციის ინსტიტუტის როლი.

ჩემთვის ემიგრანტებთან მრავალწახნაგოვანი, ძალზე რთული, სპეციფიკური და ფაქიზი მუშაობა ასოცირდება ორ ადამიანთან – რეზო თაბუკაშვილი და პაატა ნაცვლიშვილი. მათი ღვაწლი ამ საშურ საქმეში განუზომელია.

ოლიმპიურ კომიტეტში 2012 წელს ჩატარებული არჩევნების შემდეგ ერთი ახლობელი მეუბნება – ვიცე-პრეზიდენტად პაატა ნაცვლიშვილის კანდიდატურა რატომ არ დადგაო. ჯერ ერთი, ის უკვე იყო ვიცე-პრეზიდენტი – ვპასუხობ, და მეორეც, წარმოიდგინე – პაატა მოქმედი ვიცე-პრეზიდენტია, გადასცეს კაბინეტის გასაღები, გააცნეს აპარატის შინაგანაწესი და უთხრეს, დილის 9-დან საღამოს 6-მდე ვმუშაობთო. მოდის ნაცვლიშვილი მაჩაბელზე, სხვებსაც სთხოვს, რომ დროზე მოვიდ-წავიდნენ, ატარებს თათბირებს, ესწრება სხდომებს, წერს დადგენილებებს, პასუხობს სატელეფონო ზარებს და რა! – მესამე სართულიდან შეიძლება დურთოს თავი ქვემოთ! არა და არა, პაატას არტახებში ვერ მოაქცევ, კაბინეტში ვერ ჩაკეტავ!

მუშაობაში თავადაც დაუნდობელია და სხვასაც არ ინდობს. ვითომც არაფერი, ღამის 12 საათზე მოგიტანს 400-გვერდიან გამოსაცემ წიგნს – ყურადღებით გადახედე, ციფრები და ფოტოებზე წარწერები გადაამოწმე, კორექტურაც არ გამოგრჩესო. არ იკითხავთ წასაკითხად მოცემულ დროს? ხვალ დილით 9 საათზე ბეჭდვაში უნდა წავიდესო.

...ალბათ, გაგონილი გექნებათ, კაცს რომ ეკითხებიან – რამდენად კარგად იცნობ საკუთარ ძმასო? ცალსახად ვერ გეტყვი, რამეთუ მასთან ერთად არ მიმოგზაურიაო. ჩემთვის ორი პაატაა, ერთი – თბილისში, საქმიან ორომტრიალში, მუდმივად დაკავებული, მოძრავი, დაუღალავი, ათას პროექტს მოდებული, ხშირად ნერვებაშლილი და მუდმივად გამოუძინებელი, წონასწორობიდან გამოყვანამდე ჯიუტი... და პაატა – მოგზაურობაში. ეს ერთი სიამოვნებაა! უნდა ნახოთ, როგორ ემზადება ყოველ ჯერზე ქვეყნიდან გასასვლელად, რა ფათერაკებიანი ადგილების მონახულებას აპირებს, რა სირთულეების გადალახვას გეგმავს, რა საინტერესო ადგილების გაცნობას შემოგთავაზებს, რა შეხვედრებს აანონსებს, როგორ ეძებს და ხვდება საინტერესო ადამიანებს. თანაც ყველაფერზე ხომ ყველაფერი იცის! მოკლედ, ძალზე კომფორტული და მზრუნველი თანამგზავრია – მასთან არც შინ მოიწყენ და არც გარეთ.

რამდენადაც მაქსიმალისტია წიგნთან და წიგნებთან, პროფესიასთან თუ ზოგადად საქმესთან დაკავშირებით, იმდენად მარტივი და უპრობლემოა ჩვეულებრივ ყოფაში. მახსოვს, 1994 წელს პარიზში სოკის კონგრესზე სასტუმროს ოთახში იატაკზე რომ ეძინა. კიდევ ერთი ღირსება – პროფესიონალური კუთხით დახმარებისთვის მუდმივ მზადყოფნაშია.

პაატა აბსოლუტურად უკომპლექსო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, გარეგნულად მაინც. თუნდაც ავიღოთ მისი ყოველდღიური ჩაცმის სტილი. როგორი სანახავია 65 წლის პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი (და ა. შ. და ა. შ.) საკმაოდ შელანძღულ „ბოტასებში“, თითქმის გაცვეთილ ჯინსებში, ზამთრობით ორმაგ „ფუფაიკაში“, ზაფხულობით კი პერანგსა და ჯიბეებით გადატენილ უსახელო ჟურნალისტური ჟილეტით, და, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ საყოველთაო მოდაში შემოსვლამდე მოშვებული წვერით.

მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო, ამბობს.

ვიცი, ჩემო პაატა, ვიცი, რაც გინდა გეცვას, ცნობადობა და პოპულარობა შენნაირ კაცს როგორ მოაკლდება! 65-ს მიუკაკუნაო. შენს ენერგეტიკას არამც და არამც არ ეტყობა ობიექტურად ეს სოლიდური ასაკი.

პაატა ნაცვლიშვილი ის კაცია, რომელიც ნამდვილად სჭირდება ქართულ დღევანდელობას, სჭირდება ქართულ მეცნიერებას, მწერლობასა და პოეზიას, ჟურნალისტიკას, ქართულ კულტურასა და ხელოვნებას, ქართველ ემიგრანტებს, ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას...

რა თქმა უნდა, პაატა პირველ რიგში, სჭირდება მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს, კოლეგებსა და მეგობრებს.

მე რომ ვიცი შენს მიერ მონიშნული საინტერესო და საჭირო პროექტების მასშტაბურობა, მათ ხორცშესხმას ჯანზე მყოფი ენერგიული პაატა და სამი ათეული წელი მაინც სჭირდება. წლებს კი არ გითვლი, უბრალოდ მინდა, რომ ჩაფიქრებული განახორციელო.

„არავისთან იმდენი არ მიკამათია, მიჩხუბია და არავისთან ერთად იმდენი საქმე არ მიკეთებია, რამდენიც ემზარ ზენაიშვილთან“ – ეს პაატას სიტყვებია.

ჰოდა, მოდი ვიჩხუბოთ და ვიკამათოთ, ოღონდაც საქმე ვაკეთოთ.

შენ ხომ აკეთებ იმას, რაც ძალზე კარგად გამოგდის. ე. ი. აკეთებ იმას, რასაც უნდა აკეთებდე.

ეს ნამდვილად დიდი ბედნიერებაა!

ემზარ ზენაიშვილი

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მე-10 კონფერენცია - „GITI 2017“

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და „ICT ბიზნესსაბჭოს“ ორგანიზებით რიგით მე-10 ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია გაიხსნა. კონფერენციის მთავარ თემას კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებები წარმოადგენს. ღონისძიება, ტრადიციულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გახსნა. როგორც იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, საქართველოში IT კონფერენციის მე-10, ყველაზე დიდი საიუბილეო ღონისძიებაა. თეა წულუკიანის თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დაფუძნებული კონფერენცია წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ სტუმარს მასპინძლობს.

◎ ჭადრაკი

სამი ქართველიც მონაწილეობს

იტალიაში დაიწყო 20-წლამდელ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 48 ქვეყნის 89 გოგონა და 62 ქვეყნის 148 ვაჟი მონაწილეობს. საპრიზო ადგილებისთვის საქართველოს სამი წარმომადგენელიც იბრძვის. პირველ ტურში ფიდეს ქართველმა ოსტატმა მარიამ ჭოლაძემ (2112) სიურპრიზი შემოგვთავაზა — თეთრი ფიგურებით შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი, აზერბაიჯანის ქალთა ნაკრების წევრი, დიდოსტატი გუნაი მამაზადე (2399) დაამარცხა, მომდევნო ორ ტურში კი სერბ თეოდორა ინჯაჩსა და უზბეკეთის ნაკრების წევრთან, ქალთა დიდოსტატ გულრუხბეგინ ტოხირჯანოვასთან (2306) გაიყო ქულები. 18-წლამდელებში ევროპის ორგზის ჩემპიონმა, ქალთა საერთაშორისო ოსტატმა ნინო ხომერიკმა ჯერ სლოვენ (და არა სლოვენიელ) მონიკა როზმარის აჯობა, მერე უნგრელ ზუზანა ტერბეს დაუზავდა, მესამე ტურში ლარა ჯანზელს (სლოვენია) სძლია და 2.5 ქულას მოუყარა თავი.

საგულისხმოა, რომ გოგონათა ტურნირში ვაჟთა ოთხი საერთაშორისო ოსტატი (ცხადია, იგულისხმება, რომ ისინი ქალებში დიდოსტატები არიან) - ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი), სარასადათ ხადემალშარიეხი (ირანი), იულია ოსმაკი (უკრაინა), დავაადემბერელ ნომინ-ერდენი (მონგოლეთი) და ამდენივე ქალთა დიდოსტატი (ბერძენი სტავრულა ცოლაკიდუ, რუსი ანასტასია პარამზინა, გულრუხბეგინ ტოხირჯანოვა და გუნაი მამაზადე) მონაწილეობს, რომლებიც, ფაქტობრივად, ასპარეზობის ფავორიტები არიან. სამი მათგანი — აბდუმალიკი, ოსმაკი და ნომინ-ერდენი რუს საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრა ობოლენცევასთან ერთად სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მეწინავეობს. ჭოლაძეს 2 ქულა აქვს.

ვაჟებში ნოე თუთისანი რეიტინგით (2361) მეოთხმოცეა. სტარტზე მან ინდოელ დიდოსტატ მურალი კარტიკეინთან წააგო, მეორეში ხუან ჰეინეკენთან (პარაგვაი) პარტია ყაიმით დაასრულა, ხოლო მესამეში იტალიელი გაბრიელე ლუმაჩი დაამარცხა და 1.5 ქულა მოაგროვა.

ჩემპიონატში შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება.

ლაშა დიდია

◎ ლეგიონერი

მარკოიშვილის 17-ქულიანი...

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში წამოსვლამდე ბოლოსწინა მატჩი გამართა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელიც თავის გუნდს ევროთასზე მორიგი თამაშის მოგებაში დაეხმარა.

ტურნირის მე-6 ტურში რეჯიოემილიელებმა პოდგორიცას „ბუდუჩნოსტს“ უმასპინძლეს და 77:71 დაამარცხეს. მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში

გახლდათ და 31 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა.

ქართველმა კალათბურთელმა 8-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ერთხელ დაუფარეს, 5 პერსონალური ფოული მიიღო,ხოლო მის წინააღმდეგ 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

„რეჯიო ემილია“ სამ-სამი მოგება-წაგებით B ჯგუფში მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს, მომდევნო შეხვედრას კი 6 დეკემბერს სტამბოლში „გალათასარაისთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

2023 წელს - საფრანგეთში

2023 წლის მსოფლიო თასი საფრანგეთში ჩატარდება. მსოფლიო რაგბის საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება ლონდონში გამართული შუალედური შეხვედრის შემდეგ მიიღო.

ფრანგებმა მსოფლიო თასის მასპინძლობის უფლება ორრაუნდიანი სხდომის შედეგად მოიპოვეს. მათ კენჭისყრის გადამწყვეტ ეტაპზე 24 ხმა მიიღეს, ხოლო სამხრეთ აფრიკამ — 15 ხმა, პირველ ტურში კი საფრანგეთმა 18 ხმა მიიღო, სამხრეთ აფრიკამ — 13 ხმა და ირლანდიამ — 8 ხმა.

„ვულოცავ საფრანგეთს 2023 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობის უფლების მოპოვებას. მათ წარმოადგინეს ძალიან ძლიერი და ყოვლისმომცველი განაცხადი, რომელმაც სრულიად დააკმაყოფილა საბჭო.

ჩვენ გვყავდა სამი გამორჩეული მასპინძლობის მსურველი ქვეყანა, რომელთაც შეუძლიათ ტურნირის უმაღლეს დონეზე ორგანიზება. კანდიდატებს შორის სხვაობა ძალიან მცირე იყო და არჩევანის გაკეთება — რთული.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ირლანდიასა და სამხრეთ აფრიკას თავიანთი განაცხადისთვის. იმედი მაქვს, რომ მომავალში ისინი კვლავ მოისურვებენ მსოფლიო თასის მასპინძლობას. ჩვენ ველით საფრანგეთთან თანამშრომლობის დაწყებას და დარწმუნებული ვარ, რომ 2023 წლის მსოფლიო თასი ძალიან წარმატებული იქნება“, — განაცხადა მსოფლიო რაგბის თავმჯდომარემ ბილ ბომონტმა.

ცნობისთვის: საფრანგეთი მსოფლიო თასს მეორედ უმასპინძლებს. ფრანგებს პირველად ეს პატივი 2007 წელს ერგოთ. გარდა ამისა, 1991 წელს ისინი ინგლისთან, უელსთან, ირლანდიასთან და შოტლანდიასთან ერთად ზემოხსენებული ტურნირის თანამასპინძლები იყვნენ.

კობა კობახიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ესპანური გამოცემა Marca ნეიმარის „ბარსელონადან“, „პარი სენ ჟერმენში“ გადასვლას იხსენებს და წერს, რომ **ბრაზილიელი ბოლო მომენტში გარიგების გაუქმებას ითხოვდა, რადგან ბიუროკრატიული პროცედურებით დაიღალა.**

წყაროს ცნობით, ნეიმარი ამ საკითხზე „ბარსელონას“ პრეზიდენტს ხოსე მარია ბართომეუსაც ესაუბრა, თუმცა, საქმეში ფეხბურთელის მამა ჩაერთო და საბოლოო გადაწყვეტილება შვილის ნაცვლად მან მიიღო.

25 წლის ბრაზილიელი შემტევი „პსჟ“-ში ამ ზაფხულს, ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო თანხად, 222 მილიონ ევროდ გადავიდა. მიმდინარე სეზონში პარიზელთა რიგებში ჩატარებულ 12 მატჩში მის ანგარიშზე 11 გოლია.

* * *

მიუნხენის „ბაიერნის“ პოლონელმა თავდამსხმელმა რობერტ ლევანდოვსკიმ „რეკორდმაისტერს“ ახალგაზრდა შემტევის ყიდვისკენ მოუწოდა. 29 წლის მოთამაშის თქმით, ეს მას ძალების გადანაწილების საშუალებას მისცემს და ტრავმის მიღების რისკიც შემცირდება.

„ბაიერნმა“ უნდა დაიმატოს უმცროსი და თამაშს მოწყურებული ფორვარდი, რომელსაც შეეძლება შემცვალოს თუნდაც 15-20 წუთით. თუ ასე მოხდება, მე უფრო მეტი ძალა მექნება, თან ეს ფაქტი კიდევ უფრო შეამცირებს ტრავმის რისკს“, — განაცხადა ლევანდოვსკიმ.

მიმდინარე სეზონში პოლონელმა 11 მატჩი ჩაატარა და ამდენივე გოლის გატანაც მოახერხა.

* * *

„იუვენტუსის“ ნახევარმცველმა სამი ხედირამ ჯანლუიჯი ბუფონი გაამხნევა. გერმანელი ფეხბურთელი იტალიის ეროვნული ნაკრების მუნდიალის საგზურის გარეშე დარჩენას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თანაგუნდელის ცრემლებმა მასზე ძალიან იმოქმედა.

„სამწუხაროა, რომ იტალია მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა აღმოჩნდა და თანავუგრძნობ ჩემს თანაკლუბელებს. როდესაც ცნობილი გახდა, რომ ბუფონი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრება, მე მას შეტყობინება გავუგზავნე: შენ ჩემპიონთა ლიგაზე გაიმარჯვებ, ამაში ჩვენ დაგეხმარებით“, — თქვა ხედირამ.

შეგახსენებთ, რომ ჯანლუიჯი ბუფონმა შვედეთის ნაკრებთან გამართული პლეი-ოფის მატჩების (0:0, 0:1) შემდეგ საწაკრებო კარიერა დაასრულა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

კლაუდია ითათხება

2018 წლის საფეხბურთო მუნდიალზე ვერგასვლის გამო სრულიად იტალიის საფეხბურთი სამყარო ძაძით შემოსილა და აპენინის ნახევარკუნძული გლოვას მოუცავს. „სკუადრა აძურას“ შვედეთის ნაკრებთან პლეი-ოფში მარცხს გულდათუთქული ტიფოზერიის გარდა იტალიელი ლამაზმანებიც გლოვობენ.

იტალიელმა მოდელმა და მსახიობმა კლაუდია რომანიმ ნაკრების წყევლა-კრულვის შემდეგ აღიარა, რომ ამ ფორმაციის „აძურასგან“ ის დიდ წარმატებას ნამდვილად არ ელოდა, თუმცა, ისიც ვერ წარმოედგინა, სკანდინავიელებთან ასე უილაჯოდ და უგოლოდ თუ გამოვარდებოდნენ.

კლაუდიას ფეხბურთი ნამდვილად ძალიან უყვარს, მის მშობლიურ იტალიის საფეხბურთო ნაკრებსაც ქომაგობს და, სხვათა შორის, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, მსაჯის ლიცენზიასაც კი ფლობს.

რაც შეეხება ახლანდელ ენამწარეობას, ამისთვის ნუ დავძრახავთ, რადგან ბრაზის მიზეზი ზომაზე მეტი აქვს. ისე კი კლაუდიას ბურთის იტალიელი მაგორებლების მიმართ სითბო და სიყვარული რომ არასდროს დაუშურებია, ამაში თვით პიპო ინძაგიც დაგვემოწმება...

როსტომ რაჭველიშვილი

სულთათანა

ქეთევან ლომთათიძე

ჟიული შარტავას თაობის ახალი დარდი

გადაჭარბების გარეშე ვიტყვით, საოცარი სილამაზის, გონიერების, ღირსების ადამიანები იყვნენ იმ თაობაში, რომელსაც საზოგადოება საქართველოს პირველი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას თაობას უწოდებს. ბევრი „გაიფანტა“ სამყაროში, ბევრიც ფიზიკურად დაგვაკლდა....

სიკვდილს შევეჩვიეთ? არა! ტკივილების გაძლება ვისწავლეთ...

შეიძლება, ბევრმა ახლა გაიგოს, რომ მტრედივით გაგვიფრინდა ჩვენი ქეთევანი, ქეთი ლომთათიძე.

სამეგობროს მშვენება-წყვილი ქეთო და კოტე უკვე კენტია.... კოტე ბასილაშვილი მისთვის უსაყვარლესი ქეთოს გარეშეა....

ბევრს წერენ ხოლმე ადამიანებზე გარდაცვალების შემდეგ და უმეტესად კარგს. ქეთის ეს არ სჭირდება. ცეკვის ქუთაისელი ჯადოქრების მურმან ლომთათიძის, ცირუკ კოტორეიშვილის დედისერთა გოგონას უყვარდა სიცოცხლე, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან კეთილგანწყობილ, თბილ აურას ტოვებდა... ყველაფერი უხდებოდა, ქერა თმები, საოცარი ღიმილი, გამორჩეული ჩაცმის, ცეკვის და დაკვრის სტილი...

ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ბედნიერი იყო და თითქოს ეშინოდა თავისი ბედნიერების... თურმე ამაშიც გამორჩეული ყოფილა...

2003 წელს, ნოემბრის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რამდენიმე დღეში, 3 დეკემბერს, სხვისი დაყაჩაღების მცდელობის დროს, კრიმინალებმა მოკლეს მისი სრულიად უდანაშაულო ვაჟი და მიიმალნენ. ირაკლი ბასილაშვილის და მარიკა, მაშინ 21 წლის იყო, ირაკლი 26-ის, პატარა, 3 წლის ქეთის მამა...

და 10 წელი დამოუკიდებლად ეძებდა მკვლელებს და მიაგნო... ყაჩაღებმა სასამართლოს აცნობეს, რომ ირაკლის არ იცნობდნენ, ლიფტში შემთხვევით შესული ბიჭი მოიშორეს, ხელი რომ არ შეეშალა მათთვის.

ტრაგედიამ ოჯახი გაანადგურა... ირაკლის საბედისწერო მკვლელობის შემდეგ გარდაცვალა დედა, ქეთის ბებია, ქეთის მშობლები...

თავსდატეხილ უბედურებას თითქოს იტანდნენ, მაგრამ... იტანჯებოდნენ ქეთო და კოტე. სამსახურის შემდეგ შვილის წმინდა საფლავთან აღამებდნენ გაწამებული ცხოვრების ყოველ დღეს... არავის ახვევდნენ თავიანთ დარდს და ტკივილს, პირიქით, სხვებს ნუგეშად ევლინებოდნენ...

ვეღარ გაუძლო კოტეს გულმა — მძიმე ოპერაცია გადაიტანა... ქეთი ძლივს, მაგრამ იდგა ფეხზე, თუმცა ამ ყველაფერს წყალივით არ ჩაუვლია... დარდის და ტკივილის სვეტად იქცა მშვენიერი ქალი, თუმცა სამეგობროში ვისაც უჭირდა, ისევ ამ „სვეტს“ ეხვეოდა და მისგან იღებდა თანადგომას...

დარდი, სიმწარე, ტკივილი ყველაფერი ერთბაშად ჩაეღვენთა მის სასიცოცხლო უჯრედებში და...წავიდა ქეთი ლომთათიძე იმ სამყაროში, სადაც მისი შვილი და ოჯახის წევრები, ახლობლები უფრო ადრე დასახლდნენ.

წუხდა , „კოტეს და ჩემს ანგელოზ გოგოს — მარიკას, მარის ვაწუხებო....

მათი ალალი ცრემლი გაიყოლა იქ, უკვდავების წყაროს წვეთებივით.

სამეგობრო არ შეუწუხებია... უხაროდა, თუ ვინმე „შეირბენდა მასთან“...

21 ნოემბერს ქეთი ლომთათიძე უფლის წინაშე წარდგება. გვჯერა, უფალი გულში ჩაიკრავს და დაუამებს ჭრილობებს.

ქეთი.... გემშვიდობებით და გიმახსოვრებთ.

ჟიული შარტავას
თაობის მეგობრები

ნათელი ხსოვნა

ზნემაღალი, ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება

გარდაიცვალა შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი **მზია წერეთელი.**

ქალბატონი მზია 60 წლის განმავლობაში დღემდე იყო ინსტიტუტის ყველა თაობის აღმზრდელი და ერთგული მეგობარი. მისი ხელმძღვანელობით ბევრი პრაქტიკული თუ სამეცნიერო ექსპედიცია ეწყობოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც შეისწავლებოდა წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. იგი დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა საქართველოს წარმოების მუშათა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

დიდია მისი როლი პროფესიული დაავადებების მიმართულებით ახალგაზრდა ექიმი სპეციალისტების მომზადების საქმეში, ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის პროფესიულ დაავადებათა განყოფილებას, სადაც გაზარდა წარმატებული ექიმების მრავალი თაობა.

ქალბატონი მზიას მეცნიერული კვლევები ყოველთვის გამოირჩეოდა თემატიკის მრავალფეროვნებითა და ანალიზის სიზუსტით. იგი უბადლო იყო მეცნიერული კვლევების შედეგების შეჯამების და განსჯის საქმეში, ავლენდა საგნის ღრმა ცოდნას, ერუდიციას და ანალიტიკურ ნიჭს. უაღრესად საინტერესო იყო მის მიერ შესრულებული შრომები გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე თამბაქოს მტვრის გავლენის შესახებ. მან პირველმა დაადგინა, რომ თამბაქოს მტვერი იწვევს პათოლოგიურ ცვლილებებს გულის კუნთსა და კორონარულ სისხლძარღვებში. ასევე მან დაადგინა მანგანუმის აეროზოლის და საწარმოო ვიბრაციის მოქმედების სხვადასხვა ეფექტი გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

მისი კვლევები ეხებოდა პროფესიული პათოლოგიის აქტუალური საკითხების შესწავლას: აბრეშუმის, ტყვიის, დარიშხანის მოქმედების თავისებურებებს დასაქმებული ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონი მზიას დამსახურება პროფესიულ დაავადებათა დამდგენი რესპუბლიკური კომისიის თვმჯდომარედ მუშაობის დროს. წლების მანძილზე მან დიდი ღვაწლი დასდო დასაქმებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას პროფესიული თვალსაზრისით, სწორი დიაგნოზის დასმას, რომლის დადგენის დროს იყო პრინციპული და სამართლიანი. ქალბატონი მზია იყო 160-ზე მეტი სტატიის, მეთოდური მითითებისა და სახელმძღვანელოს ავტორი, რომლებიც ეძღვნებოდა შრომის, მედიცინისა და პროფესიული პათოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

ქალბატონი მზია აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს თუ საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში, მისი მოხსენებები ყოველთვის მსმენელთა დიდ ინტერესს იმსახურებდა.

წლების განმავლობაში ვიცნობდით ქალბატონ მზიას, როგორც წარმატებულ მეცნიერს, რომელიც მუხლჩაუხრელად, უპრეტენზიოდ, მაღალი ზნეობით ემსახურებოდა საყვარელ პროფესიას. იგი იყო არა მხოლოდ ცნობილი მეცნიერი, არამედ ჭკვიანი ხელმძღვანელი, კეთილი და გულღია ადამიანი, რომელმაც დაიმსახურა კუთვნილი ღრმა პატივისცემა და აღიარება.

ქალბატონი მზიას — ზნემაღალი, წესიერი, ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნების ნათელი ხსოვნა, მარად დარჩება ჩვენს გულებში.

ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია.

ინფორმაცია

2018 წლის 12 იანვარს 12:00 საათზე, ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მის: ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12-ში გაიმართება ფოთი-გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობის პროექტი. საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 სენაკი-ფოთი (შემოვლითი) – სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ფოთი-გრიგოლეთის მონაკვეთის (ეტაპი 1) – მდ. რიონზე ხიდის და მისასვლელი გზების მშენებლობის და ექსპლუტაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- ფოთის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ბეჭდური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს

ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

დიდი ოდენობით ოქროს კონტრაბანდისთვის ორი პირი ამხილეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ორი პირი ამხილა.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლისგან მალულად, სატვირთო ავტომანქანით არადეკლარირებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაწარმი შემოიტანეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია საერთო ჯამში 10 კგ-მდე ოქროს ნაკეთობები, რომლის საბაჟო ღირებულება 610 000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეორე და მეხუთე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 11 წლამდე ვადით.

ვერის ბაღში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში, ვერის ბაღში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. მისი ვინაობა დადგენილი არ არის, არსებული ინფორმაციით, ის უსახლკარო იყო.

სხვა დეტალები ამ მომენტისათვის უცნობია.

მომხდარ ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით იძებს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

◎ გაითვალისწინეთ!

დღეგრძელთა დიეტა

„ცისფერი ზონები“ — ასე უწოდა ამერიკელმა მოგზაურმა და მწერალმა დენ ბიუტნერმა იმ ადგილებს, სადაც ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ. იგი დედამიწაზე ხუთ ასეთ ზონას გამოყოფს: ესენია სამი კუნძული — ოკინავა, სარდინია და იკარია, ასევე კოსტა-რიკაში ნახევარკუნძული ნიკოია და კალიფორნიაში (აშშ) მეშვიდე დღის ადვენტისტთა ქრისტიანული სექტის თემი.

ესენი ყრუ, მიუვალი ადგილებია, რომლებიც გარე სამყაროს თანამედროვე ცივილიზაციისგან ზღვის ან რელიგიის კედლითაა გამიჯნული, სადაც ადამიანები ძველისძველი ტრადიციების დაცვით ცხოვრობენ. ისინი სიცოცხლის ბოლომდე მიზნად ისახავენ პოზიტიურ განწყობას, მუდამ აქტიური არიან, ოღონდ ზომიერად — არც მარათონს დარბიან, არც რკინას ექაჩებიან. ეს ხალხი მუდამ საშინაო საქმეს აკეთებს, ბაღში მუშაობს, ბევრს სეირნობს და ერთ ადგილზე დიდხანს არ ჩერდება, თანაც იმ ადგილებისთვის ჩვეულ საკვებს მიირთმევს, რომელსაც ტრადიციულად ამზადებს.

დენ ბიუტნერის აზრით, **ცისფერ ზონებში ადამიანთა დღეგრძელობის მთავარი საიდუმლო მაინც საკვებია — კალორიების 95 პროცენტს ისინი მცენარეული სურსათიდან იღებენ.**

არანაკლებ საინტერესოა მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **სუფთა წყალი დედამიწაზე დღეგრძელ ადამიანთა საუკეთესო სასმელია.** ადვენტისტებს მიაჩნიათ, რომ დღეში კაცმა შვიდი ჭიქა წყალი უნდა სვას, რადგან ის სისხლძარღვებში სისხლის ნაკადის ჭავლსა და ყველა ორგანოს აქტიურ მუშაობას უზრუნველყოფს. ახალგაზრდობის შენარჩუნებას ასევე ხელს უწყობს ბოსტნეულის კერძზე დაყოლებული ერთი-ორი ბოკალი წითელი ღვინო.

მოამზადა **ნინო ალექსანდრიამ**

4.9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა საქართველოს საზღვართან

აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვრიდან 140 კილომეტრის დაშორებით, 4.9 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. რა სიმძლავრის ბიძგები დაფიქსირდა საქართველოში, სეისმური მონიტორინგის ცენტრში ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებენ. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები მთელი ქვეყნის მასშტაბით ორჯერ იგრძნეს.

ნგრევისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

რომის პაპს „ლამბორჯინი“ აჩუქეს

იტალიურმა ავტოკონცერმა „ლამბორჯინმა“ რომის პაპს სპეციალურად მისთვის შექმნილი 200 000 დოლარის ღირებულების მოდელი „Huracan“ აჩუქა..



ამ ავტომობილის წარდგენა 2014 წელს ჟენევის ავტოსალონში მოხდა. სახელი ძველი მაიას ტომის ქარის ღმერთის პატივსაცემად უწოდეს (ჰურაკანი ქარის ღმერთს ნიშნავს).

მანქანის გადაცემის დროს პაპმა მასზე ხელმოწერა გააკეთა. ვატიკანის პირველმა პირმა განაცხადა, რომ ისევ თავისი მოკრძალებული „Ford Focus“-ით გააგრძელებს მგზავრობას.

რაც შეეხება „ლამბორჯინს“, იგი „სოტბის“ აუქციონზე გაიყიდება და მიღებული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება.

„ბეჭდების მბრძანებელი“ მრავალსერიიან ფილმად გამოვა

მე-20 საუკუნის ერთ-ერთ საკულტო წიგნს „ბეჭდების მბრძანებელს“ Amazon Studio სერიალად გადაიღებს.



წიგნი მეორე მსოფლიო იმის პერიოდში იწერებოდა. მისი ავტორი ოქსფორდის უნივერსიტეტის ლექტორი ჯონ რონალდ რუელ ტოლკინია.

იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი და 150-ზე მეტ ქვეყანაში იყიდება. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ფანტეზის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის დამკვიდრებაში.

„ბეჭდების მბრძანებლის“ მიხედვით უკვე გადაღებულია კინოტრილოგია პიტერ ჯექსონის მიერ, რომელიც ერთ-ერთ უმსხვილეს კინოპროექტად ითვლება. მისი გადაღება 300 მილიონი დოლარი დაჯდა და დამსახურებული 17 ოსკარიც მიანიჭეს.

სერიალი, რომლის გადაღებაც იგეგმება, რამდენიმე სეზონი გაგრძელდება. ჯერ რეჟისორი და მთავარი გმირები უცნობია. თუმცა დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ სერიალიც ისეთივე პოპულარული იქნება, როგორც ტოლკინის წიგნი და ჯექსონის კინოტრილოგია.

მოამზადა **რუსუდან ქობულიამ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

აღმოჩენა

პროფესორი დისერტაციას ამზადებს და რწყილს შეისწავლის. დებს ქაღალდის ფურცელზე და უბრძანებს:

— რწყილო გადახტი!

რწყილი გადახტება და პროფესორი დისერტაციაში ჩანაწერს აკეთებს — რწყილი გადახტა! შემდეგ პროფესორი რწყილს ყველა ფეხს მოწყვეტს, კვლავ ქაღალდის ფურცელზე დადებს და რწყილს უბრძანებს:

— რწყილო გადახტი!

რწყილი აღარ გადახტება.

პროფესორი თავის სადისერტაციო ნაშრომში ჩაწერს: „როგორც ხანგრძლივმა ცდებმა გვიჩვენეს, სასმენი ორგანოები რწყილს ფეხებში აქვს, თუ რწყილს ფეხებს მოვწყვეტთ, ეგრევე ყრუვდება“.

კარგი საქციელი

თადეუში პირველად წავიდა სკოლაში და როცა შინ დაბრუნდა, დედამ ჰკითხა:

— ვიმედოვნებ, კარგად იქცეოდი, არ ხმაურობდი და არ ცელქობდი.

— რა უნდა მეხმაურა, ან როგორ უნდა მეცელქა, როცა ყოველ გაკვეთილზე სულ კუთხეში ვიდექი, — მიუგო თადეუშმა.

მე თუ მეყოლებოდა...

საიძიოში ერთმანეთს ხვდებიან ალექსანდრე დიდი, ჰანიბალი და ნაპოლეონი.

ალექსანდრე დიდი ამბობს:

— თავის დროზე თუნდაც რამდენიმე ტანკი თუ მეყოლებოდა, აფრიკასა და აზიასაც ხუთ წუთში დავიპყრობდი.

ჰანიბალი ამბობს:

— ტანკები კი არა, თუნდაც ერთი ან ორი თვითმფრინავი თუ მეყოლებოდა, ალპებს გვერდს არ ავუვლიდი!

ნაპოლეონმა კი ორივეს გასაგონად თქვა:

— თუკი თავის დროზე ჰებელსი მეყოლებოდა, მსოფლიო დღემდე ვერ გაიგებდა, რომ რუსეთში დავმარცხდი.

გართობა

სპირიტული სეანსის დროს ცოლი თავისი გარდაცვლილი ქმრის სულს გამოიხმობს:

— მიხეილ, შენ ხარ? — ეკითხება ცოლი.

— მე ვარ, საყვარელო!

— ახლა სად იმყოფები?

— ძროხებით სავსე აბიბინებულ მინდორში.

— ვაი, შე საწყალო! ალბათ, ძალიან მოწყენილი ხარ, არა?!

— სულაც არა, ძვირფასო! ახლა მე ხომ ხარი ვარ!



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6955; ევრო - 3.1920;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5467;
100 რუბლი - 4.4719; თურქული ლირა - 0.6940;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5909;
1000 სომხური დრამი - 5.5123.

ამინდი 17 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +15
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +20
თბილისი: ღამე +7, დღე +14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge